

საქმეწიგნი ნახატებიანი  
ქურნალი

№ IX

სექტემბერი

1909



შ ი ნ ა ა რ ს ი

ქუჩნაღ . ჟეჯიღისა .

I სურათი „ნებიერი ფისუნია“ . . . . .	2
II ნინია ლექსი გ. ქუჩიშვილისა . . . . .	3
III მეგობარზე ზრუნვა ფრანგულით ალ . . . . .	4
IV მერცხალი და პატარა შაქრო ლადო გეგექკორისა . . . . .	6
V როგორ ისწავლა პატარა ყმაწვილმა ჯადოსნობა. ზღა- პარი ბესტეინის თარგმანი ან. წერეთლისა . . . . .	10
VI გუგულის ამბავი ივანეჯისა . . . . .	17
VII ქოსა — მეჩონგურე ზღაპარი დასასრული . . . . .	22
VIII ელი რემ. (თარგმანი) ალ. . . . .	27
<hr/>	
IX შემოდგომა სოფელში კე. გაბაშვილისა . . . . .	30
XI „ზე ცხოვრებისა“ თარგმანი სილ. მადადაშვილისა . . . . .	34
XII ბანანა ალექსი ჭიჭინაძისა . . . . .	46
XIII თეთრი ფინია. პოთხრ. კუბრინისა, დასასრული თარგ. კე. მესხისა . . . . .	49
XIV ბუნების სიმდიდრის განადგურება შედგენილი ან. წერეთლისგან . . . . .	61

საქმეწვილო ნასატებიანი ქუჩნაღი

ჯეჯიღი,


დაარსებულია 1890 წელს

გამოვა თვეში ერთხელ. ქუჩნაღში ორი განყოფილებაა ზატარებისთვის და მოზრდილთათვის ფასი წლიური: ქალაქ გარეთ 5. მ. ქალაქში 4 მ. ცალკე ნომერი 40.

ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5.



ქართული  
ენციკლოპედია



საქართველო ნახატებიანი  
ქურონალი

იზარდე მწვანე ჯეჯილო,  
დაბურდი, გახდი ყანაო!..  
ი. დ.

სექტემბერი, 1909

ფელიწალი მელცე

თ ფ ი ლ ი ს ი  
ელექტრომბეჭდავი აზხ. „სრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.  
1909



„ნებიერი ფისკნია“.



# ნინია




ძრავათა დგას ნინია  
სდუმს .. მწარეთ მოუწეენია;  
ჭიწს უორკეცებს, გულს უწელავს  
ჯოჯონეთური გენია.

რა მოხდა? შავი სიკვდილი  
საბრალოს სომ არ სწვევია?!  
— „სიკვდილი სჯობს“ — გასძახის.  
სორბალი შემოღევა!

შინ დიდსა და ჰატარას,  
შინ გოგონა ლელასა;  
შესტირის დედას „ჰული“ —  
ცრემლი სდის ცუგრუძელასა.

მშობელსაც, ამის შემეურეს,  
სტკივა საცოდავს გულია;  
ვის სთხოვოს? მთელი სოფელი  
ერთიან დაძმეულია.

გ. ქუჩიშვილი.



ს ა შ ა მ თ ვ ე მ ს  
პ ა რ მ ა მ ე ნ ტ ი ს  
ე რ მ მ ე მ უ მ ი  
ზ ი ბ მ ი რ თ ე ა

4508

# მეგობარზე ზრუნვა.

(ფრანგულით)



ვიძდა. სულანჯი და მისი მეგობარი, ზატარა მარი, შინისაკენ მიეჩქარებოდნენ. მათ უნდა გადაეარათ ერთი დიდი მინდორი, სადაც ძროხები სძოვდნენ ბალახს. უეცრად ჰირუტეუები რაღაძაც შეაძინა;--ჰირუტეუები გამოეჩანენ ბავშვებისაკენ. ბლავილით საშინლად ძორბოდნენ ამათკენ. ბავშვებმა, შინისაკენ თავსარდაცემულეებმა, მოჭკურცხლეს რაც ძალა და ღონე ჰქონდათ.

სულანჯი მეგობარზე კარგა უფროსი იყო და ამიტომაც უფრო მეტი ღონე ჰქონდა; მას შეეძლო ადვილათ სირბილით თავი დაეხწია, მაგრამ ზატარა მეგობართან დაჩხენა არჩია, რომ მისთვის ეპატრონა.



როგორც იქნა სირბილით ამათ მიანწიეს ერთს ვარსკვლავს ადგილს. მის ძირს სვრელი იყო, სწორედ იმოდენი, რომ ერთი ბავშვი თავისუფლათ გა-

ბიბლიოთეკის  
სტამბოლი

მერებოდა. სულანჯი კი გრძნობდა, რომ ეს არი მოე-  
წეოდა მათ გაბრახებულნი  
პირუტყვი სარჩოლად მო-  
მხადებული.



ამას ხელში ბედზე ქო-  
ლვა ეჭირა, ისიც დაკეცი-  
ლი, რომ ვხაში სირბი-

ლის დროს ხელი არ შეეძალა.

პატარა ძარი გაუშვა ხვრელში, თითონ კი გუ-  
ლადათ უცბათ მიუბრუნდა ძროხას და მის თვალწინ  
სწრაფად გახსნა ქოლვა. პირუტყვი შეშინდა, უეცრად  
დაიხია უკან. ამითა ისარგებლა სულანჯიმ და გაჭევა  
მეგობარს ხვრელში.

შეშინებული და აკან-  
კალებული ბავშვები მი-  
ვიდნენ სოფელში. ერთი  
კმაყოფილი იყო იმითი,  
რომ მეგობარი გადაარ-  
ხინა სიკვდილს, მეორე  
აძაფობდა იმითი, რომ მე-



გობარი ასეთი გულადი და თავგანწირული გამოადგა.

ამ დღიდან მათ უფრო შეუყვარდათ ერთმანეთი.

აღ.





## მერცხალი და ჰაწია შაქრო.

ამ დილით მზე დიადი სანახავი იყო. თვისი ოქროს ფრად მოეღვარე სსივები მას უხვად გაეფანტა. ძოა, ტყე, ველი, მდინარე-მსის სსივებზე ბრწყინავდენ და ეღვარებდენ. ვარდ-ევავილებში ჩაჰკურებული ნამი მარგალიტის თვალავით ციმციმებდა. მზის სსივები მერცხლის ბუდესაც ესტუმრენ. საამო სანახავი იყო სახლის სარკმელთან გაკეთებული ჰაწია ბუდე და მიგ მოკეკლუცე ბარტეები, რომელნიც დედის მოლოდინში ცქმუტავდენ და ფუსფუსებდენ. დამშეულ ბარტეებს ჰირი დაელოთ და მოელოდენ დედის მიერ მოტანილ საჭმელთ გაძლომას: იკბინებოდენ, ურჩობდენ, კისკისებდენ და ბუდიდან გადმოვარდნას ლამობდენ; ჟრია-მული მოერთოთ და ერთი აურ-საური გაჰქანდათ.

— ჭიკ-ჭიკ-ჭიკ, — გაისმა უცვებ ჰაერში და გამოჩნდა მერცხალი, რომელმაც ბარტეებს ნისკარტით დაჭერილი მწერი მოუეჯანა და მისთავაჰა. ფრთა-ფრთას ჰკრა და ისევ ჰაერში მურდულივით გაინავარდა. ბარტეებმა კვლავ კისკისი და ჟრია-მული მორთეს.

— ეს მერცხალი ალბათ კიდევ დაიჭერს მწე-



რებს და მოუყვანს თავის ბარტყებს; დასე, რა მშვენიერებაა! შავარდენივით დაფრინავს, ალბათ ასე უფრო მოსახერხებელია ბუხ-ბუხების და მწერების დაჭრა. დაიცა, უეურო რას იხამს, — ფიქრობდა თავისთვის სახლის აივანზე მოაჯირს ახლო ძღვარი ჰაწია შაქრო და განცქეროდა ჭაერში მონავარდე მერცხალს.

მერცხალი დაჭკროლაუდა ჭაერში, უკლიდა სახლს ირგვლივ, შურდულივით აზობდა ჭაერს, ეტეობოდა რომ დიდ ომში და ნადირობაში იყო. ბოლოს შემოიჭრა ისევ სახლის აივანში და მსწრაფლ მიამშურა ბუდეს. მისთავას თავის ბარტყებს დაჭერილი მწერი. ის აზირებდა ისევ წასვლას სახადიროდ, მაგრამ რაღაც მიზეზით არ გაფრინდა; მოიკლათ თავის ბარტყებთან და დასცქეროდა შაქროს, რომელსაც გრძელი ჯოხი მოეტანა და უზირებდა მერცხლის ბუდეს დანგრევას.

მერცხალს გული აემღვრა, თვალდან ცრემლები წასკდა და დაუწყო ხვეწნა-მუდარება შაქროს, რომ არ დაეზრია მწარე ოფლით, შიშის ქვეშ აშენებული ბუდე და არ გაენაცარმტყვერებია მისი შრომა.

— შაქრო, ჩემო შაქრო, — ამბობდა მერცხალი, — შემიცოდე, ხულარ დამინგრევ ჩემს ბუდეს, ნუ დამინოც შეილებს. ვერ წარმოიდგენ, რა შრომა მაქვს შედარებული ამ ბუდის აშენებაში და შეილების გამოხრდაში. შენ, ჩემო ჰაწია, ტკბილ ძილში იყავი, რომ მე უკვე შრომით მოქანცული მოსვენებას ვეძლეოდი.



როგორც-კი ინათებდა, როგორც კი მოასწევდა რიყ-  
 რაჟი მე, სტვენა-ჭიკჭიკის ნაცვლად ფიცსვლავ შრო-  
 მას შეუდგებოდი. მიუფრინავდი შარს კარგ საღ მი-  
 წის მოსაძებნად; მოვიტანდი მიწას, დავასველებდი მას  
 ნერწყვით, რომ დამაგრებულიყო — კედელს მისწებებო-  
 და — და ამ გვარათ შრომით და ტანჯვით ვაძენებდი  
 ბუდეს. ერთხელ იყო და ნახეგრად აძენებული ბუდე  
 თქვენმა ფისომ დაძინგრია. რასაკვირველია, მე-ძალი-  
 ან დაძალიანა ამან, მაგრამ იმედი მანც არ დაკვარ-  
 გე. შეუდგე ხელ-მეორედ ბუდის აძენებას. ავაძენე ბუ-  
 დე, ბარტყები გამოუჩეკე და მენც ხედავ, ჩემო კარ-  
 გო, ამ დრომდის მოვიუვანე შვილები, ამ დრომდის  
 გამოუზარდე უხიფათო. ესლა, მე რომ ბუდე ვინმე  
 დაძინგრიოს, უსამართლობა იქნება. რას უნდა მერ-  
 ჩოდენ; არავისთვის არაფერი წაძირთმევია. ავაძენე  
 მიწური ბუდე. მიწა ღვთის მოცემულია. შვილებს  
 ვზრდი ბუხ-ძვერებით; ამისთვის ვეველანი ძაღლობელ-  
 ნი უნდა ივენეთ, რადგან ამით ვსპობ ძავენებელ არ-  
 სებათ — ბუხ-ძვერებს. ძართალია, სახლის სარკმელ-  
 თან მაქვს ბუდე აძენებული, მაგრამ ნუ თუ ეს დიდ  
 ცოდვათ ჩამეთვლება? მე ჩემს სამშობლოში, კობტა  
 საქართველოში, სტუმრათ ვითვლები. თქვენ ვეველანი  
 სტუმართ-მოუვარენი ხართ. მახსოვს, ბევრჯერ მოსუ-  
 ლა თქვენთან სტუმარი; და მე ვაუთკვია, თქვენ მის-  
 თვის ჰატვი გიცნათ და ისე გამეზავრებულა. მეც  
 სტუმარი ვარ, მაგრამ უფრო უაქიზი სტუმარი. არ



მერცხალი და ჰაწია შაქრო

მინდა თქვენი საჭმელ-სასმელი, არ მინდა თქვენი ლე-  
იბ-საბანი. მე ამას ვგელაფურს თვითონ ვიძოვი. მე  
თქვენგან ვათხოვ მხოლოდ სახლის სარკმელთან ჰა-  
წია აღვიღს ბუდის ასაშენებლად. დილით მეც ვჭიკ-  
ჭიკობ და ჩემი ბარტყებიც. ღმერთი შემეწევა და ბარ-  
ტყები რომ წამოიზრდებიან, უკეთეს სიმღერებს დაი-  
სწავლიან და მაშინ ხომ შეამკობენ ამ სახლს, ამ მი-  
დამოს, ამ ბაღებს, ამ სეივნებს ტებილ ჭიკჭიკ-სიმ-  
ღერებით. მაშინ, ჩემო ჰაწია, შენც გიამება და სწვებ-  
საც. ესლა, შენ რომ ბუდე დამინგრიო, ამ სიამოფ-  
ნებას შეძღვები მოკლებული იქნები.

შაქროს მერცხლის ეს სიტყვები ღრმად ჩანსვდა  
გულში. მას ლამის იყო ცრემლებიც არ წასკდა თვალ-  
თავან. გაიფიქრა, თავის დღეში მერცხალს არაფურს  
ვაზნებ, იცხოვროს, ინავარდოსო და შესძინა.

— ვაფრინდი, ჩემო ნახო მერცხალო, ინავარდე  
ჭაერში, იჭირე ბუხ-ჰეზლები და მწერები, ხარდე შვი-  
ლები, იჭიკჭიკე და იმღერე, იუავი თავისუფალი, მე  
ამ დღიდან არას ვაზნებ, ბუდეს არ დაგინგრივ და ჰა-  
ტივისცემით მოგეზურობი.

ლადო გეგეჭკორი.



# როგორ ისწავლა პატარა

## ემაწვილმა ჯადოსნობა.

(ზღაპარი ბესმეტეინის)



ემაწვილი პატარა ემაწვილი, რომელსაც სძირათ ესმოდა სხვა და სხვა ამბები ჯადოსნობაზე და ბოლოს თითონაც წახალისდა და მოინდომა ჯადოსნობა შეესწავლა. ეკვლას, ვინც ჰკითხავდა ჯადოსნობაზე რასმეს, ეუბნებოდენ: „ჯადოსნობისა არაფერი გიცითო და ხურც არაფერი გეცოდინებაო.“ მაშინ პატარა ემაწვილი სულ მარტო-მარტო წავიდა დაბურულ, გაუვლელ ტყეში და იქ დაიწყო სმა ძალივ ევირილი: „ვინ მასწავლის ჯადოსნობას!“ დაბურულ ტყეში პასესი გასცა: ჯადოსნობას! ჯადოსნობას!

პატარა ხანს შემდეგ ბუჩქებიდან გამოვიდა ერთი ბებერი, სულ ბებერი, მოხუცი, რომელსაც პირში არც ერთი კბილი არ ჰქონდა და თვალები საშინლათ გასწითლებოდა, სურგზე კუხი ამოსვლოდა, თეთრ თმებს აქეთ-იქით აფარფარებდა და სმა მიუგავდა რაღაც ბოროტ მომასწავებელ გარეულ ფრინველს. მან დაუძახა ემაწვილს: „გამოქევი და გასწავლი ჯადოსნობას“.



ემაწვილი გაჭევა. მოხუცი მიათრევდა ემაწვილს სულ შივ შუაგულ ტეეში, ბოლოს მიიყვანა ერთ თხემლას ქვეშ, გუბესთან, სადაც იდგა ნახევრათ დანგრეული პატარა ქონი. მისი ალიზის კედლები ხავსით იყო შემოფენილი და ჭერი ლერწმით აყო დახურული. ქონში გარდა ერთი პატარა ლამაზი გოგოსი არავინ იყო. ამას ერქვა ლიზიკო. მოხუცმა არ გაამხილა — ეს იმის შვილი იყო თუ არა. სამი დიდი მწვანე ჯოჯო (გომბეშო) დაუსვდათ იქ. შუა ქონში, ჯაჭვზე ეკიდა ქვაბი, შივ იხარშებოდა ბატების და კურდღლების შიგნეულობა და სხვა და სხვა ძელები. მოხუცებულმა შესავალში დასვა ერთი ჯოჯო მხვერვათ, მეორე ჯოჯო აგზავნა ჩარდასში ემაწვილისთვის ქვეშაგების ჩამოსატანათ, მესამე ჯოჯო მაგიდაზე დასვა, რომ ოთანსი გაენათებინა. თუმცა ჯოჯო ცდილობდა თავის თვალებით სინათლე მოეფინა ოთანში, მაგრამ ციცინათელაზე მეტს სინათლეს არ იძლეოდა.

მოხუცებული და ლიზიკო შეუდგენ ვასშმის ჭამას, ემაწვილსაც უთავაზეს საჭმელი, მაგრამ მას ეზიზღებოდა, ვერა სჭამა. თანაც ძალიან დაღაღული იყო და ეძინებოდა. მოხუცმა გაძლილ თივაზე დააწვინა ემაწვილი, რომელსაც ძაღე ჩაეძინა. ემაწვილი ძილში ფიქრობდა, როგორ მეორე დღეს დაიწეებს ჯადოსნობის სწავლას და რა კარგი იქნება, რომ ლიზიკო იყოს მისი მასწავლებელი. კუდიანმა და ჯადო-



სანამ ბებერმა ჩაუხურხულა ლიზიკოს: „კიდევ ერთი ჩავიგდეთ სეულში! სვალ კაი წვადები გვექნება! დილაზე, სანამ მხე ამოვიდეს გამაღვიძე, დაველათ“.

ბებერი და ჰატარა ქალაღ დაწვეწ დასაძინებლათ. ლიზიკოს არ ეძინებოდა. ძალიან ეჩანებოდა ეს ლამაზი ჰატარა ემაწვილი, რომელსაც ბებერი სიკვდილს უქაღიდა. ლიზიკო წამოღვა ქვეშავებიდან, მიუხალოვდა ემაწვილს და ალერსით დაუწოო უურება მის წითელ ლოეებს, ქერა თძებს და ძოაგონდა რომ მას თვალები ისეთი ჭქონდა, როგორც ლურჯი, მოკრიალებული ცა. ძალიან შეწუნდა, რომ ბავში ამ ბებერი კუდიანის სეულში ჩავარდა. ამას ძოაგონდა, რომ კარგა ხნის წინეთ, როცა ლიზიკო სულ ჰატარა იო, ამ ბებერმა ეს მოჭხარა დედას, გაიტაცა უცებ ტყეში და იქ ასწავლა ჯადოსნობა: ისარვიით ჭეარში გასრიალეება, თვაღთ-უსილაობა და სსვა და სსვა რამეები.

ლიზიკომ შეიბრაღა და შეიევარა ეს ჰატარა ემაწვილი და განაზრახა გადაერჩინა ის ეოველ უბედურებისხგან. სელ სელა გააღვიძა და ჩასხურხულა: კარგო ბავში, ადე შესე და გამოძეევი! აქ შენ სიკვდილი მოგელის! —,ნუ თუ აქ ჯადოსნობას არ ვისწავლი? იკითხა ფრიდეღმა. ასე ერქვა ბავშს. — კარგი იქნება რომ ძაგის სწავლას სულაც თავი დაანებო, ან რა გეჩქარება, წინ ბევრი დრო გვიძეეს, უთხრა ლიზიკომ, — „სლა ნუ იგვიანებ, გაიტყცი და შეც გავიქ-

ცევი შენთან ერთად. „დიდი სიამოვნებით გამოგვე-  
ბი ვუვლვან. უთხრა ეძწვილმა; — მე სულაც არ მინ-  
და დაჯრჩე ამ კუდიან ბებერთან და იმის საძაგელ  
ჯოჯოებთან.“ — მაშ წავიდეთ! სთქვა ლიზიკომ და  
როცა ნახა რომ ბებერა ძაგრათ სძინავს, ნელა გაა-  
დო კარნი. ბებერი ძარტლა შუა კულის ძილში იყო.



ლიზიკო და  
ფრიდელი გამო-  
ვიდენ ქოსიდან.  
ლიზიკომ შუა-  
ფურთხა გამოსა-  
ვალ კარებში და  
ანუ ორივენი სა-  
ჩქაროთ გამოვი-

დენ. კარების ცაღებში ურჯაში ცოცხა ოდენი სმაურობა



ატუდა. მოსუცებულებს სომ მოგესსენებათ ძალიან ფრთხალი ძილი აქუთ. კუდიან დედაკაცს გამოედვიდა და დაიუვირა: ლიხიკო, მკონი თენდება! „ძაძინ ლიხიკოს მოჯადოე ბულმა ფურთსმა კარების შესავლიდან მისძახა ლიხიკოს სძით: — „იწექ ცოტა ხანს კიდევ, ხანამ ოთახს მოუგლი და ცეცხლის ასანთებათ გამძძარ ფოთლებს და ჩინჩხვარს მოვიტან“. კუდიანი ბებერი ცოტა ხანს კიდევ იწვა, გაქცეულები კი მიფრინავდენ და მიფრინავდენ. ბებერს არ ეძინებოდა და დაიუვირა სელახლათ: „რა ჭქენი, ცეცხლი გააჩაღე!“ ფურთსმა ისევ მიძახა: „არა, ფოთლები სველი გამოდგა და შეშა ბოლავს. ცოტა ხანს კიდევ იწექი, ხანამ ცეცხლს გააჩაღებდე.“ ბებერი ცოტახანს ისევ იწვა. გაქცეულები კი ქონიდან სულ შორს და შორს მიფრინავდენ.

მზე კარგა ძაღლა იყო, როდესაც კუდიანი დედაკაცი სიბერით მოუძღურებული უცბათ წამოდგა ქვეშაგებიდან და დაიუვირა: „აი, შე ეშმაკო, შე! მზე ამოსულა და შენ არც კი გიფიქრია ჩემი გაღვიძება! სად მიიძაღე!“ ამ კითხვაზე ჰასუსი არავინ გასცა. მზეს გაეძრო ფურთსი. კუდიანმა დაიწყო ქონში სიბილი და ჩიკორივით ტრიალი. ემაწვილები არსად არა ჩნდენ. ბებერი საშინლად გაბრახდა. მოიღერა ცოცხნი და კარებს გაჭკრა. ქონი გაჭკრა. ფენი წაჭკრა წვიმის სოკოს, — იმისაგან გაჩნდა ღრუბელი. კუდიანი დაჯდა ცოცხსე და ღრუბელთან ერთად გასწია. ძაღ-



ლობიდან შეასწრო თვალი საითკენაც მიზნოდენ ბავშვები და ღრუბლის შემწეობით ქარივით გაფრინდა.

ლიზიკომ იცოდა კუდიანი ბებერის სერსი და სულ აქეთ-იქით იცქირებოდა და უთხრა ემსწვილს: „ხედავ აი ცახე ღრუბელს! ეგ კუდიანი ბებერი მოგვადევს. არა ღირს გაქცევა, სულ ერთია მოგვეწევა. ახლა მე უნდა ვცადო ჩემი ჯადოსნობა. მე კვრინხის ბუჩქად გადავიქცევი და შენ კი კვრინხსი იეავ. უცბათ ლიზიკო გარდაიქცა კვრინხის ბუჩქად, რომელიც სერსე იღვა და ზედ ბევრი კვრინხსი ება ფრიდელი სულ ძირს მოჭევა. კუდიანს ბებერს მოგსახურობის დროს საძინლად მოსწეურდა და როდესაც დაინახა კვრინხის ბუჩქი და ზედ ბევრი კვრინხსი თავისათ თქვა: „ჰაერი ძძრალია და ძალიან ძლავს, უნდა დავეშვა კვრინხის ბუჩქსე და ორიოდე კვრინხსი ვჭამო!“

ასეც მოიქცა. შესჭამდა ხან ერთ კვრინხსს და ხან მეორეს, თან ამბობდა: „მევავე მესიამოვნება“ ძალე სუეველა შესჭამა გარდა ერთისა, რომელიც სულ ძირს ება. საძაგელმა ბებერმა იცოდა რომ ეს ფრიდელია, მაგრამ ვერა გააწეორა. როგორც კი მისწვდებოდა მოსაგლეჯად ბუჩქი დაუწეებდა მწარეთ ჩხვლეტას მის ბებერ თითებს, ბოლოს კუდიანი მაინც მისწვდა და ის იეო უნდა მოეგლიჯა, რომ უცბათ ეს კვრინხსი მოსწედა და სერიდან დაგორდა. ერთ წამს კვრინხის ბუჩქი გარდაიქცა ტბათ და ეს კვრინ-

ჩნი ჰატარა იხვათ. ეს ეველაფერი ღიზიკოს ჯადოს-  
 ნობით მოხდა, რომელიც შესწავლილი ჰქონდა ამ კუ-  
 დიანი ბებრისაგან. მაშინ კუდიანმა აისროლა ძაღლს  
 თავისი ფეხსაცმელი, ის გადაიქცა გარეულ ფრინვე-  
 ლად და გარეული ფრინველი მივარდა იხვს. იხვმა  
 წებლში ჩაიუგრეუძელა და როდესაც გარეულმა ფრი-  
 ნველმა ჩაჭყო ნისკარტი წებლში—ტბა აღელვდა,  
 'ხვირთებმა მოიტაცეს ფრინველი და ჩანთქეს წებლში,  
 იხვი კი ისევ ამოვიდა ძაღლს.

გააფთრებულმა ბებერმა ახლა მეორე ფეხსაცმელი  
 გადაისროლა წებლში. ფეხსაცმელი ნიანგათ გადაიქცა,  
 ნიანგი გაექანა იხვისკენ—მის ჩასაყლანათ. მაგრამ  
 იხვი აფრინდა ძაღლს და წელის მეორე მხარეს მი-  
 იძალა, წებლი კი ნიანგს ღია ჰირში ჩაუვარდა და  
 ქვით აქცია. ნიანგი ისე დაძძიდა, რომ წებლმა დას-  
 ძირა. კუდიანი ბებერი გაწვა ტბის ჰირად და დაიწ-  
 ყო წელის სმა. უნდოდ მთელი ტბა შეესვა, რომ  
 მოჯადოებული იხვი უწელოთ დარჩენილიყო და რა-  
 კი მიწასე ამოვიდოდა, ისევ ეძაწვილათ გადაიქცეო-  
 და. წებლი კი, რომელსაც ისე ხარბათ სვამდა ბებერი,  
 გადაიქცა მის ტომაქში ცეცხლათ, ააფეთქა საშინლად,  
 გასკდა კუდიანი და გაჭქრა მისი ხსენება. იხვი ისევ  
 ფრიდელათ გადაიქცა, ცეცხლი ღიზიკოთ და მას აქეთ  
 ფრიდელი და ღიზიკო განდენ გაუგრელ მეგობრებათ.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი)



8053  
4208



## გუგულის აზგავი.



ეს იყო მხემ გუგინა დედამიწას და თბილი სა-  
 ჭამური სწიგებით მიესაღმა მას. ქვეყანამაც სა-  
 ზასუნო თაყვანი სცა თავის დიად მნათობს, რის  
 გამოსახატვად მან გადაიღელა გულ-მკერდი და აღ-  
 მოაცენა მობიბინე ზურმუსტ-ბაღასი. ენძელა ქუდმოს-  
 დილი მსიარულად თაყვანსა სცემდა ცხოვრების მოძ-  
 ნიჭებელ მზის სწიგებს და ზამთრის სუსხისაგან გაუ-  
 ჰატიურებულნი ტიტველი ხეები შემოსვას ეშურებოდ-  
 ნენ, რათა ჰირნათლად შესვედროდენ თბილად და  
 ტბილად ამომავალ დაუმრეტელ სითბოს და სინათ-  
 ლის წყაროს. გაგუდულებივით ჰარკებში უმოძრავოდ  
 ჩასაფრებულმა ჭიაღუებმა მატლის და მუსლუსოს სა-

საქართველოს  
პარლამენტის

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ხით გამოჰყევს თავი და მოედვენ ტყეს ახლად გამო-  
 ნასკულ კვირტებისა და ნორჩი ფოთლების საგებე-  
 ლად. მეც ამ ზირველ სითბოსთან ერთად მოვევლინე  
 ჩემს შვირფას მეგობარს ტყე-ველს ამოდენა აურაცხელ  
 მტრის მოსაგერებლად. ჩვენი გუგუ გაიხმა აქა-იქ  
 ტყეში, რომელსაც მცველებად დაუადექით თავზედ. იმ  
 დალოცვილ ბუნებას ჩვენი გაჩენის ზირველ დღიღგან-  
 ვე უხვად დაუჯილდოებივართ ღაზათიანის მადით და  
 იმოდენი სიცოცხლე თქვენ მოგვცეთ, ჩემთვის უნუ-  
 ბელნო ბაკშუებო, რამდენი ტყის მოსიხსლე მტერი  
 ჭიები ჩვენ გავასადეთ იმ ხანებში.

— ააა, გუგულს ვახლავართ, გუგულს, ჩვენს კე-  
 თილს გაზაფხულის ზირველ შიკრიკს! — მომესალმა ჩვე-  
 ნი ტყის მცველი სოსიკო, — მაგრამ ოლოლე შენ! მი-  
 ჯობნია შენთვის, შე ძაბუნო, შენა! — მომიგო მან შა-  
 ნა — უკვე ჰურნაჭამი განლაჯარ და ველარ დამხაგრაჲ,  
 ვარა!

რა უნდა მეთქვა, თუნდა ღმერთი-რჯული, რომ  
 მიამა იმის ნახვა. გუგუ, გუგუ მეთქი მივაყოლე მე-  
 მის საამურის ხმით და გულში კი ჯავრად ჩამევა,  
 რომ ასე უსაფუძვლოდ მისავეედურა რაღაც დაჩაგვრის  
 შესახებ. ვინ ოხერს უნდა მისი დაჩაგვრა? ისე მცნუ-  
 რა გეტკინოსთ! აშკარად ვსედავდი, რომ ვეელანი სა-  
 რობდენ ჩემს გაჩენას, თითქოს გაზაფხული უჩემოდ  
 არ დადგებოდა. მეც ხომ ბრივეი არა ვარ, რომ ეს  
 ჩემთვის სასიამოვნო მდგომარეობა არ შემეთვისებინა და

ესიამოვნობდი არსეინად ცხოვრებით, ვიდრე ზატარა ფრთოსან-მგალობლების გადმოჟრენამდის, რომელთაც გახაფხულის სუნსეფ იწუეს დენა ჩვენის ტუისკენ. ეს-  
ლა კი ილაჯი წაიღეს ამ ტურტლიანძა ჩიორებმა.  
სული არ ამომათქევენეს, გამოძიდგობიან ხოლმე და  
დამდევენ ერთის ქვილ-წივილით. განა ბევრს კი ვე-  
რას მაკლებენ, მაგრამ დამჩხავიან თავსე და გულს  
შიწვრილებენ, სანამ არ ჩაკორტნი და ძალით არ  
მოაიძორებ.

— რას გერჩიანო, — შამოძეკითსა ერთი ფრთა-  
მოტყენილი ქორორა ოფოფი.

— ჰეი გიდი, თითქოს შენ კი ხეიწს დამაფრი-  
დი, რომ ფრთა არა გქონდეს მოტყენილი, — მივუგე მე.

— არა, შენც დანაშაული მიგიძღვის ჩვენს წი-  
ნაშე. აბა ერთი პითხარე, ვინ მოგცა ნება, რომ ჩვენს  
ბუდეს გაქეჯავ ხოლმე და ჩაბძანდები შიგ, თითქოს  
შენი ნაშრომ-ნააბაგარე იყოს? ენითაც ჩვენსე დიდი  
ხარ და ჭკუითაც და განა შენ არ გეკადრება ბუდის  
აძენება, ჩვენ რომ გვაზრდევინებ შვილებს? ან რომე-  
ლი დიდი გვარის შვილი შენა ხარ, რომ ასე გვეპ-  
ურობი? თუნდაც დიდის გვარისა იყო, წავიდა, დაო-  
ჯან, ის დრო, როცა დიდები მონებს შვილებს აზრ-  
დევინებდენ. ესლა თავისუფლების ხანაა, გაიგე და!  
თუ არც ის იცი, რომ ბუნებას არც გვარიშვილობა  
დაუწესებია და არც მონობა? რომ ეს უველა მოგო-  
ნილია იმათგან, ვისაც ძალა უხმარია თავისდა სანარ-



გებლოდ? განა შენაც კარგად იცი ეს ძაგრამ როდის გატედები? ამგვარი მონობა შენთვის ხელსაწერელია და ზოგი ჩვენაც გვეითხე! მონა ის არის, ვისაც თავისუფლებას არ უყვარს. ჩვენ კი ძალიან კარგათ ვიცით თავისუფლების უადრი და მასთან ჩვენი ბუნებრივი უფლებაც და დღეის იქით მონობასხედ ხელს ვიღებთ!.. აი ჩემი უკანასკნელი სიტყვა და შენ რაც გინდა ისა სთქვი, მე შენი მსმენელი არ გახლავარ. ძორჩა და გათავდა! — დაბოლავა თავის თავსედობა ოფოფმა და სტუნვით მიიძალა ფოთლებში.

— უფრებში ხასხვი არ ჩამაჭრა! — მივაძახე მე და ჩემს გზას გავეუდეგი.

სულ მოკლე ხანში ამ ბაასის შემდეგ მუცელი ამტკივდა, კვერცხი მომდგომოდა. ჩვენ ტუის ბოლოში, მოცვის ბუჩქზე საჯოს ბუდე მეკულებოდა, რომლისაკენაც საჩქაროდ გავექანე. ჩემს ბუდესად საჯოც აფრენილიყო და მე ჩუძად ერთი კვერცხი შიგ ჩავდე, კვერცხის დადების დროს ტკივილები ვიცი, თუნდა ჩემი კვერცხი ჰატარა. ამ ტკივილების გაძო იმდენი ვიფაფსურე, რომ საჯოს ორი კვერცხი კიდევ ჩავტყე, ამოვაღავე ბუდიდან და საჩქაროდ ამოფურინდი.

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებს!“

ერთის კვირის შემდეგ კიდევ მომინდა კვერცხის დადება და ესლა კიოტას ბუდეში მოვათავსე, ერთიც გულწითელას ბუდეს მივაბარე, ერთიც კოდალას კვერცხებს მიჰუძატე, ერთი ოფოფს ვუთავაზე და უკანა-

მედიკალინა



სწეული კვერცხი უნდა მესკიას ბუდეში ჩამედო, მაგრამ რადგან მესკიას ბუდე ფუფუნოში ჰქონდა გაკეთებული, სადაც მე ვერ ჩავძვრებოდი, ვერ ჩავკეტოდი, ავიღე და მინდორზე დავდევი, საიდანაც ბრჭყალებით უნდა ჩამეგდო მესკიას ბუდეში, მაგრამ ზედ შემომატყუდა ბრჭყალებში და გადავაგდე. კვერცხის დაღების შემდეგ მე და ჩემი ქმარი გავიყარეთ. ის თავის გზით წავიდა და მე ჩემის გზით.

სანამ ჩემი (ბუღარტები) ბარტეები გამოიჩეკებოდნენ, ჩემს უბანს არ ვცილდებოდი, თვალუურს ვადევნებდი ჩემი მკეკვიდრეების გაზრდა-დაჩიტებას და მათ მიძების საქციელს. მართალი მოგასსენოთ, ბევრს ვიცინი ხოლმე, როცა ეს საცოდავი ჩიტუნები ასე გულმოდგინედ მიხრდებიან შვილებს. ისე თავისას არ უვლიან, როგორც ჩემსას და მეც არსეინად ვატარებ ჩემს დროს, როგორც ერთი ვინმე დიდი ბატონი.

სანამ მუქთი მიძები და გამდლები მეუბნან, თავი რისთვის უნდა შევიწუხო?...

ივანელი.





## ქოსა — მეჩონგურე.

(ინგილოური ზღაპარი ჩაწერილი ანდ. ინაშვილის მიერ).



ვერი სიარულის შეძევ, მეფე შვიდა ერთ სხვა წყაროსთან. იქაც თავის მეორე დის გოგო დაჭნედა და იძასაც სურაში ბეჭედი ჩაუგდო.— მეორე დის ქმარი კიდევ ფრინველთ მეფე იყო. იძან რომ შეიტყო საუჯარელ ცოლის-ძმის დარდი, ძაძინვე ბრძანა დაეკრათ ნაღარა. ხუთძაბათი დღე იყო და დაჭკრეს ნაღარა თუ არა, მოგროვდა მთელი ქვეყნის ფრინველი. მეფემ ათვალ-ჩათვალა იერა ესენი და ბრძანა, კიდევ დაეკრათ ნაღარა, ორი ბუღბუღი აკლიაო. დაჭკრეს ხელ-მეორედ ნაღარა, მოფრინდა კიდევ ორი ბუღბუღი. გაუჯავრდა მეფე მათ, სად იყავითო. ბუღბუღებმა უხასუხეს:— დიდებულო მეფე, ნუ კვიწენ: ერთ მშვენიერ, შორეულს წალკოტში გასლდით. ნაღარის ხმა რომ შემოგვესმა, უნდა მოვსულიყავით, მაგრამ იქ, ერთ ვარდის ჩრდილში ერთ მშვენიერ მზეთ-უნახავ ქალთან იჯდა ერთი ქოსა და ისე საამურად დაჭმდებოდა ის გულ-მკვდარი ჩონკურსა, რომ ჩვენ შევწევით ჩვენი გალობა და იძის მსმენელად შევიქმენით. მეორეთ რომ დაჭკრეს ნაღარას, ველარ გაგბედეთ იქ დარჩენა და კიანელით.





მეფე და ემაწვილი მაძინვე მიხვდნენ, ვინც ქო-  
ფილან ის ქალი და ქოსა-მქონგურე. მეფე ჰკითხა  
მეფემ დანარჩენ ფრინველთ, ხომ არ იცით, რა რი-  
კად შეიძლება იმ ქალის მოტაცვაო. ერთმა ფრინ-  
ველმა მოახსენა: „იმ ქოსასა ჰქვავს ერთი სამ-ფეხა  
გულთმისანი ცხენი, თუ იმ ნაირი ცხენი გვეხანდეთ,  
ადვილი იქნება იმ ქალის მოტაცება. მაგრამ შეიძ-  
ლება იმნაირი ცხენის მოვნაც: იმ ქოსას ერთი სამ-  
ფეხა ცხენის ჯოგიც ჰქვავს, რომლის დაწაჯათ ტუის  
ხირას ორი დიდი ვეფხი უბია. ყოველ-დღე იმ ჯოგს  
თითო კვიცი ემატება და ვინაც იმ კვიცის დაჭერა  
ჰსურს, ჯერ ის ვეფხები უნდა დაამშვიდოს, ამისთვის  
მათ თითო ცხვარი უნდა მიუგდოს და შეძღვევ გრძე-  
ლის ჯავით გამოათრიოს კვიციც. სამი დღის შემდეგ  
ის კვიცი სამის წლის ცხენისოდენა იქნება: იგი  
დღით იზრდება“.

მეფეთ ძლიერ ესიამოვნათ ამ ამბის შეტუობაც.  
— ფრინველთ მეფემ მისცა ცოლის-მძას ორი ცხვარი,  
გახეილა ორი მსახური და გაისტუმრა. — ამათ ერთს  
დიდს ტეეში ცხენების ჭიხუნი ესძათ; მიხვდნენ, რომ  
ეს ქოსა — მქონგურეს ჯოგი იქნებაო. არც მოტყუე-  
დნენ. ფრინველის დარიგებისამებრ დაიჭირეს ერთი  
კვიცი. მესამე დღეს მეფე შეაჯდა მას და გასწია ქო-  
სა — მქონგურის ბადისკენ, მსახურნი კი დაითხოვა,  
ძინ წადით თქვენო.

სიხარულის აღ-მურმა აჰკრა მეფეს, როდესაც მან



ბადის ბოლოდამ შესწრო თვალი თავის სატროფოს. მის მუხლზედ ეძინა ქოსა—მეჩონგურეს. მათ შორიანლოს ება სამ-ფენა ლურჯი რაში. --ქალმაც შესწრო თვალი ცხენოსანს და მაშინვე გაექანა მისკენ. მეფემ შეძრისვა ქალი ცხენს უკან და მოჰკურცხლა. ცხენს კი უთხრა: „აბა ჩემო სამ-ფენავ, მიმაქროლე ფრინველთ-მეფესთან. თუ მოგკვდე და დევების მეფესთან წაძიდე!“

გამოუღვიძა ქოსას და ეოველივე შეიტყო ლურჯასაგან. გაუსწორა ლურჯას დინჯად ფაფარი და უთხრა: „ჩემო ლურჯავ, შენ რომ ერთი მუჭა ქიშხიში მოგცე და მეც ორი-სამი ჭიქა ღვინო გადავკრა, ხომ არ დაგვიგვიანდება?“ „თუძცა იმ ემაწვილსაც სამ-ფენა ჰეყანდა, მაგრამ მაინც დავეწვიოთ,—ის ჩემი ჯილაგისა არ იყო“, უპასუხა ლურჯამ.

მოისედა ქალმა უკან და შიშის ზარმა აიტანა: ქოსა—მეჩონგურე ეწეოდათ. მიუხსლოვდა ქოსა-მეჩონგურე და უბრძანა ლურჯას: „დაარტეი წინაფენები მაგ ცხენსა და ეხლავე მაგის მხედარი მიწასთან გაასწორე,—ქალს კი არა დაუშაო-რა!“ დაარტეა ლურჯამ წინა ფენები და ქალი ძირს გადმოავდო. ემაწვილი კი ლუკმა-ლუკმა აქცია, მხოლოდ ცხენს კი მარტო ერთი ფენი დაუშავა.

ქალმა იგრძნო, რომ აღარა ეძველებოდა-რა და დაიწყო ტყუილად ტირილი: ძალად მოძიტაცაო. მეჩონგურე შეეხვეწა ქოსა-მეჩონგურეს: „ეკ ემაწვილი ხომ



ქოსა — მეჩონგურე

აღარ გაცოცხლდება, ჩაალაგე მაგის ნაწილები სურ-  
ჯინში და აჭკიდე მაგისვე ცხენს, — ეგება მაგან ჰა-  
ტრონს მიუტანოს, — დაჭმარხვენ, მადლია. გამარჯვე-  
ბულმა ქოსა — მეჩონგურემ ქალს აუსრულა წადილი.

კოჭლმა ცხენმა ძიიტანა სურჯინი დევების მე-  
ფის ეზოში. აქ შეიტყეს ყოველივე და შეუდგათ მათ  
ერთი ზრიაძეული. დევის ცოლმა მიაწეო ძმის ასოე-  
ბი ერთმანერთხედ, მოაყარა წამალი და გააცოცხლა  
ძმა. — გამართეს დიდი მეჯლისი. სინარულით აღტა-  
ცებული და ეუბნებოდა ძმას, რომ ესლა კი აღარსად  
გაკიბვიბო, მაგრამ მეფემ თავისი არ დაიძალა და წა-  
ვიდა. მივიდა მეორე დასთან და ეველანფერი უაძბო.  
— ფრინველთ მეფემ კვლავ შეჭყარა ფრინველნი. ისევ  
იმავე ფრინველმა მოახსენა მეფეს, რომ თქვენს ცო-  
ლის ძმას იმ ცხენის ჯილაგისა არ დაუჭყერიაო. თუ-  
მცა ის ცხენები ეველანნი გულთმისნები არიან, მა-  
გრამ ეველას ერთი ძალა არა აქეთო. ქოსა — მეჩონ-  
გურის სამ-ფენას ჯილაგისა ლურჯი ფერისაო. —  
ემაწვილმა ისევ წაიუკანა მსახურნი და ორი ცხვარი  
და დაიჭირო ლურჯი კვიცი.

როცა მივიდა მეფე ბაღთან, ქოსა-მეჩონგურეს  
ცხენმა მაძინვე იცნო თავის ჯიშის ცხენი და დაიწ-  
ეო ფშვინვა და ჭიხვინი. ქალი ერთ წამს გაეჩანა  
ემაწვილისკენ და გაჭკურცხლეს. კზახედ ქალმა უთ-  
ხრა, რომ თუ ვინცობაა, კიდევ დაგეწია, შენ დაა-  
სწარ იმას და უთხარი ცხენს, რომ უკანა ფეხები და-



არტუას ქოსასა და ძისს სამეფეს და მიწასთან გაასწოროს. — გამოეღვიძა ქოსას და რომ შეიკეთო ის ეძაწვილი გაცოცხლებულა და ჩუი რაძის ჯიძისაც ჭეავსო, მაძინვე შეაჯდა ლურჯას და გაეღვენა. ბევრი აჭენა ცხენი, ძაგრამ ვერ ეწეოდა. მხეს ჩასასვლელად ერთი საბელი მანძილი-ლა უკლდა, როცა ქოსა — მეჩონგურეს მეუკე შეასწრო თვალი. ამ დროს მეუე ჩამომხტარიეო ცხენიდაჰ. მაძინვე შესხდნენ რაშხედ. როცა მოუახლოვდათ მათ ქოსა — მეჩონგურე, მეუკე უბრძანა თავისს ლურჯას, დაერთვა უკანაფეხები ქოსასთვის და ძისს რაძისთვის. მეუის რაშხა იძვირბა ფეხები და ისე ღონივრად დაარტვა, რომ ქოსა — მეჩონგურე და ძისი რაძიც დაქუქილნი უგრძნობელად დაეცნენ ძირს.

გახარებული და გამარჯვებული მეუე მივიდა ფრინველთ მეფესთან. აქ ბევრი იმხიარულეს და რაძენსამე დღის შემდეგ თავის სიძითა და დით მივიდა მეორე დასთან. აქაც კაი დრო გაატარეს. ერთი კვირის შემდეგ ორის სიძითა, დებითა და დევეების ღამქრით, მივიდა მეუე თავის სასახლეში. შეარიგა ძმები და სიძენი და ისეთი ქორწილი გააჩაღეს, რომ ქუდი ჭერსა ჰხვდებოდა.





## ელი რემ.



რდილოეთ ამერიკაში არის ქალაქი იორკი. მის ახლო ერთს ვაკეებერთელა ნაპრაღსე გადებულა ძაღალი რკინის გზის სიღი. ერთსელ მოხდა, რომ ორთქლძავალიდან რამოდენიმე ნაკვერჩხალი დაეცა სიღსე და სიღს ცეცხლი მოეკიდა. ახლო-მახლოს არაჟინ არ მოინოკებოდა ძლიერი ქარი კი ჰქროდა და სულ ძაღე სიღის სის მასალა დაიწვა, ნაპრაღსე დარჩა მხოლოთ რელსები, ცეცხლის დანახვაზედ ხალხმაც მოივარა თაჟი, მოინდომეს მისი გაქრობა, მაგრამ ეჟელაფერმა ამაოდ ჩაიარა.

ამ დროს ვიღამაც ხალხს დაუჟვირა: „ამ ათწუთში მატარებელმა უნდა გაიაროსო“. — რადგანაც ამ სიღს ფარავდა მთა, ადვილათ შესაძლებელი იყო, უბედურება მი მხდარიყო. შემანქანე, რომელსაც მოჰქუვდა მატარებელი, ვერ დაინახავდა სიღის დაწვას და მატარებელს მიაჟენებდა უცბათ სიღს და მთელი ვაკონები და მათში მსხდომი ხალხი გადაიჩესებოდნენ ნაპრაღში. ეჟელა მიძის ჟრუანტელმა აიტანა და არაჟინ არ იცოდა, როგორ გაეჟროთხილებინათ ძე სავრები და აეცდინათ უბედურება.



ამ დროს ხალხში იყო ერთი თორმეტი წლის ვაჟი, ელი რემი. ის საჩქაროდ გაექანა მოძავალ მატარებლისაკენ და დაინახა გრძელი კუდი ვაგონებისა, მატარებელი საოცარი სისწრაფით მოჭქროდა მისაკენ. რა ექნა ელის? უვირილით ვერას გაავონებდა, რადგან ხმაურობაში და რასა-რუსში მის უვირილს ვერავინ ვერ შეიტყობდა, მოფიქრების დრო კი არ იყო. და აი ის დადგა რკინის გზის ლიანდაგზე, ისე რომ მატარებელს უნდა გადევლო მასე და დაიწყო ხელების ქნევა და უვირილი. შემანქანემ დაინახა ემაწვილი, იფიქრა გიჟია ვინმეო და ნიშნებით აჩვენებდა, მომეცალე გზიდანო. ელი ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან და ისევ უვიროდა და ხელებს აქნევდა. სიკვდილს ჰირდანირ უდგა და მაინც არ იძროდა ადგილიდან, ელი რემი გრძნობდა, რომ მასზეა დამოკიდებული ძრავალი ხალხის სიცოცხლე.

ბოლოს შემანქანემ, რომ ბავშვი არ გაეჭვლიტა, გააჩერა მატარებელი, თანაც ისეთი გაბრახებული იყო, რომ გაჩერების უმაღლეს ხამოხტა მატარებლიდან და ცუმა დაუწყო ემაწვილს, როგორ გაბედე და მატარებელი გამაჩერებინეო.

ამ დროს მოიბინეს სხვებმაც, ვინც იყვნენ დამწვარ სიღთან და უამბეს უველასფერი მკზავრებს, რა უბედურებაც მოელოდათ.

წარმოიდგინეთ უველას გაკვირვება, როდესაც გაიგეს, რომ ელი რემიმ გადაარჩინა ისინი. შიშმა და



# ელი რემ

იმავე დროს სისარულმა ააღელვა ეველანი. მკზაურე-  
ბი ჩამოვიდნენ მაკარებლიდან, თვალ ცრემლიანი ჰყოც-  
ნიდნენ ემაწვილს და იქვე მოაგროვეს აუარება ოქრო-  
მის სსსარგებლოთ.


მერმე ეველანი წავიდნენ სანახავათ იმ საშინელი  
უფსკრულისა, სადაც უნდა ჩაჩესილიუვნენ.

ელი რემის გაბედული საქციელის ამბავი მოედო  
ძოელ ქალაქს და დიდის პატივისცემით მიიუვანეს მის  
დედ-მამასთან. მაგრამ სუეველაფერსე მომატებულათ  
ელის ახარებად ის გრძნობა, რომ ამოდენა ხალხი სი-  
კვდილს გადავარჩინეთ.

აღ.

(თარგმანი)





## შემოდგომა სოფელში.



ვინობისთვეა, შემოდგომაა. შემოდგო-  
მა მშვენიერი, უხვი, ტკბილი, მზი-  
არული.

დიდი და პატარა ღვთისაგან მონაცემს  
წლის საზრდოს სიხარულით შეჰყურებს  
და დაუზოგავედ ხმარობს თითონაც და  
თავის მტერ-მოყვარესაც გულ უხვად  
უმასპინძლდება. ერთმანეთში მისვლა  
მოსვლა გაშხირებულია. სოფელში შეუწყვე-  
ტელი ღზინაა. ყოველის სახლიდამ მოისმის  
სიცილ-ხარხარი, სიმღერა, დაირა-ბუსიკის  
გრიალი.

სუყველა კარმიდამოზედ ჯინჯიბახებზედ პანწიალებენ  
გასაშრობად გაფენილი შაქარ შეყრილი ჩურჩხელები, ბადაგ-  
ში ამოვლებული მსხლის, ატმის, დამასხის — ჰანჭურის ჩირები.  
მარნის ჰერი მთლად გაქედლია ყურძნის, კომშის და მსხლის  
ჯაგნებით, მარნის თაროები ვაშლით, გოგრებით, ხახვით; კუ-  
თხეებში კართოფილი, ჰარხალი, სტაფილო, მიწავაშლა აგრო-  
ვია. შუა მარანში ქვევრებში მაქარი სდულს, დუდილში ბუტ-  
ბუტებს და თან სიცხარით ნაპერწკლებს ისვრის. მარნის დე



რეფანიც სავსეა ღვთის მოწყალებით, კაკლის ტომრები ჰყრია, კომბოსტოს უშველებელი თავები ალაგია. საწისქვილოთ გამზადებული ხორბლის ტომრები აწყვია. ბოძებზედ საზამთროდ გამზმარი სუნელის, არჩეული ნიგვზის და, სხვა და სხვა კერკების ბარკები ჰკიდია.

ბებია თეკლე ბოსლის ოდაში ჭაჭის არაყსა ხდის, დიდი უშველებელი ხარფუმ წამოდგმული არყის ქვაბიდგან გძელი, ვაწრო სპილენძის მილით გოზაურში ანკარა არაყი წვეთ-წვეთად ჩადის და შეუწყვეტელის თავისის მიმდინარეობით ბებიას ძილსა ჰგვრის და უთუოთ სასიამოვნო სიზმრებს აზმანებს, რადგანაც ბებიას პირისახეზე ბედნიერების ღიმილი კრთის.

ძალუა მართა სათონეში გამტკიცულ ჰურს აცხობს, უმფროსი და მაშიკო კერაზედ ვარიებს ხრაკავს, უნცროსი ნუშკა დიდ თევშებზედ რძის ფლავს ასხავს და თან მუჭით დანაყილ შაქარს აყრის დარბაზის დერეფანში სუფრაზედ ჩამწკრივებულ სტუმრებისთვის.

ბავშვები ამდენის სასიამოვნო სანახაობით რეტანებივით დავალოთ, დავლასლასებთ ყველგან, მარანში, სათონეში, დერეფანში, დარბაზის ვადაშლილ და დატკეპნილ ერდოზედ დავზზრიალებთ და მეტის კმაყოფილებით აღარც კი ვგვიჯობთ, მხოლოდ თვალს და გულს დავიტკბობთ და თითებს ვილოკავთ.

— რა კარგია, ბიჭო, ე შემოდგომა! მეუბნება ჩემი ძმა ლადო.— განა სხვა დრო შეედრება შემოდგომას! რო შეიძლება ბოდეს ვინატრებდი რომ ქვეყანაზედ სულ შემოდგომა ყოფილიყო. წლის სხვა დროს აღარც კი მოვიგონებდი!

— უმაღური ხარ, ჩემო ლადო! უთხარ მე ჩემ ძმას. დავავიწყდა განა დიდი ზამთრის შემდეგ ტურფა-ნახ-კეკლუც გაზაფხულს როგორ შევხვდით? რა გატაცებით უმზერდით მწვანე ხავსს, ახლად გამონასკულ ფოთლებს, იის და ენძელას სუნით სავსე მინდორს, წყალთა და წყაროთა ჩუხჩუხს, ბუტ-ბუტს, ლუკლუკს რა აღტაცებაში მოვყავდით. პატარა ნაკადულის ხტუნვა ქვიდან ქვაზედ, მწვანეზედ მისი სრიალი—რა რიგის სიამოვნებით ავსებდა ჩვენ პატარა გულებს.

მე ხშირად წამოუწვებოდი ხოლმე ჩვენ ბალის ბოლოში, ლობის ძირს მოჩუხჩუხე რუსს და დიდხანს, დიდხანს ყურს უგდებდი იმის მუსიკალურ, მელოდიურს ტიტინს—ლულუნს, და ბევრჯელ ტკბილადაც ჩამძინებია იმის ტკბილ ნანახედ. სიზმრადაც რუს გარმონიული ჩქრიალი დამზმანებია და მის პაწია ტალღების ზედა პირზედ ციურ ანგელოზთა სახის ჩვენება გამომხატვია..

ყველა ამ ჩემ მოგონებაზედ ლადომ თვალევი გააშტერა, ჩაფიქრდა და თითქო იმ გაშტერებით იქ შორს წარსულში ყველა ჩემი ნათქვამის მშვენიერება დაინახა და გაიღიმა..

— საღამოებით ქალაში, ასკილებ შუა ბუღბული რომ ჩარაკრაკებდა ხოლმე... ჩაუსტვენდა... ჩამღერდა... დაუმატა იმან ჩემ მოგონებას თავისიც და კვლავ გაიღიმა.

— მართალი ხარ, ნიკო, კარგია გაზაფხული! და კვლავ განაგრძო მოგონება: -მაისში ბიძია ნინიამ რომ მთელი ჩვენებიანთ ბაღები ურმით სათიბზედ წაგვიყვანა? უჰ, რაკარგი იყო, რა კარგი! გაშლილი მინდორი, ათქვირებული ბალახით, ათასის ფერის ყვავილებით აქრელებული, ყაყაჩოებით მოქარგული კორდები. და ყველა ეს ნიავის დაქროლაზედ როგორ ღელავდა, როგორ აკვანივით გადად-გადმოდიოდა, ოდნავ სისინებდა და თან თითქო ტოროლას ძახილს ყურს უგდებდა. ჰაერიც თითქო ინაბებოდა და იღიმებოდა. მზე ბურუსიღვან ოდნავ ანათებდა ამ შეუღარებელ სურათს და გულს და თვალს იტაცებდა. სათიბის ბოლოს ბუჩქებთან დავსხედით ყველანი და განაბულნი უმზერდით და უსმენდით გარშემორტყმულ სამოთხის მაგვარ არე-მარეს... უცებ ცელების წკრიალი მოისმა და ათმა მცელავმა ვაჟკაცმა წყება წყებად დააწვინა ეს მღელვარე ზღვა ბალახ-ყვავილისა, ეს თითქო ცოცხალი, მშვენიერი, კეკლუკი თვალ გაღუწვდენელი მღელო მოჰკლა, დედამიწას გაუსწორა...

— ილაღანთ გიგოლა და ჩვენებიანთ სინუა რო გაუჯიბრდნენ ერთმანეთს თიბაში და სიჩქარით ერთმანეთს კინაღამ რო ფეხის თითები წაასხვიპეს... გახსოვს სინუას დედას, რომელმაც იმ დროს მუშას რო ჯერი მოუტანა, სისხლის და ნახვაზე, გული რო წაუვიდა და მაწვნის ქილა დეექცა... მერე



## შემოდგომა სოფელში

სალამოზედ ამოდენა ხალხი და წინ ჩვენ გოგო-ბიჭები სიმღერით რო წამოვედით და სოფელში მაყრიონის მაგვარის თქრიალით რო შევედით?..

და სხვა ამგვარი სასიამოვნო მოგონება დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ლადომ მაინც ეხტიბარი არ გაიტება და შეპყვირა: - შემოდგომა მაინც სჯობიან ყველა დროს: ის მშვენიერიც არის და მდიდარიც და თითქო რომ უკეთესათ დამტკიცებინა ხელი წამავლო და კვლავ მარნისკენ გამაქანა... მერე ბელღები მიჩვენა, სიმინდის ძარში შემახედა, სავსე საბძელს შემომარბევინა და თივის უშველებელ ძარს შემამატარა. ყურძენი, ღვინო, პური, სიმინდი და ფეტვი კიდევ ჯერ მოუჭრელია, განა ზღვა არ არის სიმდიდრისა!

— აბა ახლა ბაკში გადიხედე რა რიგ დაკუნტრუმობენ ჩვენი მოჭრები, ძროხები, ლომა კამეჩები; ბოჩოლაები სიმადლით და სისუქნით სულ კისერზედ კოტრიალობენ... ნახე, გუთნის ალოს როგორ გაიტანენ, ნათუზვარს როგორ გადააშვებენ..

— არა, არა! ყველა აშის ნახვის შემდეგ ამაყად შესძახა ლადომ.— შემოდგომა სხვა რამ არის და სხვა დრო იმას ვერ შეედრება.

ეკ. გაბაშვილისა.



## „ხე ცხოვრებისა.“



თხასი წელიწადია მას აქეთ, რაც ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკის ქვეყანა აღმოაჩინა; დიდი გაჭირება კი გამოიარა: კოლუმბი ბევრს ეხვეწა ისპანიის ხელმწიფე ფერდინანდს და დედოფალს იზაბელას, რომ მიეცათ მისთვის გემები შორეული მოგზაურობისათვის და უმტკიცებდა რომ ეს მოგზაურობა ფუჭად არ ჩაუვლის და სანატრელ ნაყოფს მოუტანს. ფერდინანდმა და იზაბელამაც მოუწყეს გემები. ერთ მშვენიერ დღეს აუარებელი ხალხი აცილებდა ამ გემებს. გემს ამშვენებდა ახოვანი კოლუმბი და მისი მეზღვაურები. ხალხი ტიროდა—ენანებოდათ მოგზაურნი, ვაი თუ ცოცხალნი აღარ დაბრუნდნენო. მოგზაურნიც ტიროდნენ—სწუხდნენ დედ-მამის, ნათესავების მიტოვებას... აუშვეს იალქნები და ჰოშორდნენ ნაპირებს. საშინელ სივრცეში მიტურავდნენ... მიჰქროდნენ ისპანიიდან უცნობელ ქვეყანაში. ორი თვე კიდევ გავიდა და ჯერ ხმელეთი არსადა სჩანდა.. რამდენი ქარ-ბუქი ნახეს, რამდენი მღელვარება ოკეანე-ზღვისა, მაგრამ ხმელეთი მაინც არა სჩანდა. ისპანელები ემორჩილებოდნენ ახოვან, გავლენიან კოლუმბს, მაგრამ როდემდის?.. ამათაც გული გაუწყალდათ!.. საშინელ სივრცეს ხედავდნენ ზღვისა და ცისას!.. ეგონებოდა ადამიანს, ორ ცას შუა მიტურავდნო..

— სულ დასავლეთისაკენ რად მივცურავთ—ეკითხებოდნენ კოლუმბს მეზღვაურები;—მდიდარი<sup>ინ</sup>დოეთი აკი აღმოსავლეთისკენ არის და მოგზაურნიც ხოლმე ყოველთვის აღმოსავლეთისაკენ მიდიოდნენ ისპანიიდანაც და იტალიიდანაც?

— მართალია, აქამდე ვერც იყო, მაგრამ დედამიწა ბურ-

თისავით მრგვალია და შეიძლება დასაფლეთიდანაც მივიღეთ.  
იქნება აქედან უფრო ახლოც იყოს!—უპასუხებდა კოლუმბი.

\*



ქრისტეფორე კოლუმბი.

ესლა სუყველამ იცის, რომ დედამიწა ბურთივით მრგვა-  
ლია და ყველას შეუძლიან სამი თვის განმავლობაში გარ-  
შემოუაროს. ამისთანა მოგზაურობას ჰქვიან „გარშემოვლა დე-  
და-მიწისა“.

კოლუმბის მეტს მაშინ აზრათ არავის მოჰსკვლია ასეთი მოგზაურობა, რადგან არ იცოდნენ, რომ დედამიწა მრგვალი იყო.

\*

თუმცა ინდოეთისკენ მიდიოდნენ, მაგრამ ინდოეთშივერ მივიდნენ: ოკეანე-ზღვის სივრცეში ხმელეთს მიაწყდნენ, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გაჭიმულიყო მთელ ოკეანეში. იმათ თვალწინ გამოჩნდა უცნობი ქვეყანა, უცნობი მცენარეებით შემკული, უცნობი მხეცეებით და ფრინველებით სავსე... დანახეს უცნობი ხალხიც.

ამ ხალხის დანახვა მეტად გაუკვირდათ ისპანელებს! თავის დღეში არ ენახათ სპილენძისფერი ადამიანი; ეს ხალხი კი სპილენძისფერისა იყო, თუმცა კი მარჯვე, სტუმართ მიმღები და კარგი გულისა! დედათმობილი-ტიტველა იყვნენ და ტანი სულ დასერილი ჰქონდათ—გახგებ დახატული და მოქარგული ეგონებოდა ადამიანს. ყურები, ცხვირის ნესტოები, ხელ-ფეხი სამკაულებითა ჰქონდათ მორთული. თავზედ—ზედ საქონრეზედ ფრინველების დიდი ბუმბული ჩარქობილი ჰქონდათ. კაცებს წვერ-ულვაში არა ჰქონდათ. გაკვირვებულები უცქეროდნენ ისპანელები ამ გარეულ ხალხსა. . მაგრამ ეს ნადირი ხალხიც დიდად გაკვირვებული შეჰყურებდა ამ თეთრკანა წვეროსნებს: თავის დღეში არ ენახათ ეს ამოდენა გემები, არ ენახათ პყვრიალა დანები, თოფები, რომლებიდანაც ერთბაშად ბოლი გამოსკდებოდა ხოლმე და საშინლად იქეჰავდა... ეგონათ—ჩვენი ღმერთები ციდან ჩამოსულან და ამ ფრთოვან მღევებში დაბინავებულანო.

\*

კოლუმბს ჯერ ეგონა, რომ ინდოეთში მოვიდა და ამისთვის სპილენძ-ფერა ხალხს ინდოელები დაარქვა და ესლაც ისევ ყველა ინდოელებს ერახის.

გულკეთილი ინდოელები ურიგებდნენ ისპანელებს თავიანთ ძვირფას სამკაულებს. ისპანელებს ოქროს დანახვა მეტათ უხაროდათ და ცდილობდნენ გაეგოთ, თუ საიდან ეზიდებოდნენ ესენი ამდენს ოქროს. ამ ძვირფასი ლითონის სი-

ხარბე ისპანელებს მაშინაც კი არ შეუმცირდათ, როდესაც გაიგეს, რომ ახალ აღმოჩენილ ქვეყანაში სხვა სიმდიდრეც დიდძალაა. უკვირდათ, რომ ინდოელები თითქმის არცკიმუ-შაობდნენ, მაგრამ ყველა კი თავზედ საყრელი ჰქონდათ: და-თესავენენ პურსა და ორი თვის შემდეგ მოსავალი მზათ იყო.

კოლუმბი ძალით არავის არას ართმევდა—პირ იქით თვი-თონაც ასაჩუქრებდა ხოლმე და თავის მოძმეებს უშლიდა ცუ-დად არ მოჰქცევოდნენ. თეთრკანა ხალხს კარგი სახელი გაუ-ვარდათ ინდოეთში.

\*

კოლუმბმა ზოგიერთ თავის თანამოგზაურ ისპანელებს გამოუცხადა, რომ ამოერჩიათ თავიანთთვის უმფროსი; თითონ კი დანარჩენი მეზღვაურებით უნდა დაბრუნებულყო და შეე-ტყობინებინა ხელმწიფისათვის, რომ ახალი ხმელეთი აღმოა-ჩინა.

ყველას ეგონა, რომ ამ ნაპოვნ ხმელეთს სახელათ კო-ლუმბის ქვეყანა დაერქმეოდა, მაგრამ ამერიკის ქვეყანა კი და-ერქვა. რამდენიმე წლის შემდეგ ამ ახალ ნაპოვნ ხმელეთზედ მივიდა ერთი ვინმე ამერიკო, ასწერა ეს ქვეყანა ამერიკომ, თუ როგორია, ან როგორი ხალხი ცხოვრობს, როგორი ნა-ღირ-ფრინველია და სხვ.

რაკი წიგნი ამერიკოს დაწერილი იყო—ხმელეთსაც ამე-რიკოს ქვეყანა დაერქვა და მას აქეთია „ამერიკას“ ეძახიან, თუმცა კი წესი და სამართალი მოითხოვს, რომ „კოლუმბია“ ერქვას. ეს ძალიან ეწყინა კოლუმბს—დარდისაგან ავად გა-ხდა და ბოლოს სიღარიბეში გარდაიცვალა.

\*

კოლუმბის წამოსვლა ახლად აღმოჩენილი ქვეყნიდან და ინდოელების დაჩაჯრა ერთი იყო. ისპანელები რაკი თავიანთ მიწა-წყალს მოშორებულები იყვნენ, მხოლოდ გამდიდრებას-ლა ცდილობდნენ და სულის ცხონებასაგეთ ელოდნენ კოლუმბის წასვლასა, რომ თავისუფლად ეჩაგრნათ საცოდავი ინდოელე-ბი. ახალ უფროს არ უგონებდნენ და ბედკრულ ინდოელებს



სტანჯავდნენ: ართმევდნენ ყველაფერს, უდიერად ამუშავებდნენ და თან ვერაგულად ეპყრობოდნენ.



აუარებელი ინდოელი კვდებოდა აუტანელი ჯაფისაგან და მონობისაგან, ამათ თეთრკანიანები ღმერთებათ მიჩნდათ და ითმენდნენ მკაცრი ღმერთებასაგან ყველანაირ უდიერობას; ბოლოს მოთმინების ფილა ავესოთ. ამათაც გამბედაობა გამოი-





ჩინეს უსამართლობა ველარ აიტანეს და ერთ ღემეს თითქმის ყველა თეთრკანიანები ამოსწყვიტეს. ამ რიგად გათავდა ერთმანეთის მეგობრობა და ამ დღიდან გამწვავდა ამათ შორის მტრობა. ამერიკა თანდათან თეთრკანიანებით ივსებოდა. აუარებელი ისპანელები ანებებდნენ თავსა თავიანთ სამშობლოს და ამერიკისაკენ მიიზიდებოდნენ გასამდიდრებლათ, მოდიოდნენ უფრო ზნე წამხდარი ხალხი და საცოდავ ინდოელებს შავ დღეს აყენებდნენ, ტყავს აძრობდნენ. ესენი არ ერიდებოდნენ არავითარ საქციელს ოღონდ კი გამდიდრებულიყვენ. საცოდავ ინდოელებს ნაკვერჩხლებზედ აწვენდნენ, რომ რა არის გამოეთქმევიანებინათ სად არის ოქროს მადნები. უბედურებს მეტად მძიმე სამუშაოს აძლევდნენ: რაკი ამერიკაში ცხენები არ იყო, ბარგს იმათ აზიდვინებდნენ; ღრმა თხრილებს ათხრევინებდნენ, ქვესკნელში გზებს აჭრევინებდნენ, რომ მადნეულებისთვის მიეგნოთ, გუთანში დედაკაცებსაც კი აბამდნენ... ვაი იმათი ბრალი, ვინც უარს გაბედავდა შებმის დროს—კეტითა და მათრახით აჭრელებდნენ. საცოდავები ამოდენა ცემა-ტყეპას ვერ იტანდნენ და კალიასავით იხოცებოდნენ. ისპანელების სიმკაცრეს სამზღვარი არა ჰქონდა. „განა თეთრკანა ხალხიც ხალხია!“ უამბობდა ერთხელ თურმე ერთი ინდოელი სხვებსა:

„ერთი თეთრკანა სანადიროდ წავიდა. ძაღლებისათვის შინ არა ექმია რა და ძალიან დამშეულიყვნენ საწყალი ძაღლები. გზაზედ ერთი ინდოელი დედაკაცი შეხვდა ძუძუთა ბავშვით. ისპანელმა არც აცია, არც აცხელა—გამოსტაცა მასწავარ დედას ღვიძლი შვილი და იქვე იმის თვალ წინ ძაღლებს გადაუგდო... ქვიანმა ძაღლებმა პირი არ დააკარეს... მძოვრი უფრო მოწყალე გულისაა ისპანელებზედ“ ამბობდნენ!

საწყალ წითელკანიანებს მექომაგეც არაღინა ჰყავდა, უფროსთანაც კი ველარა ჩიოდნენ. თუმცა ისპანიის ხელმწიფე თვითონ ჰგზავნიდა მთავარმართებლებს ამერიკაში, მაგრამ ეს მთავარმართებლებიც ისპანელები იყვნენ და ისპანელებს მიუდგებოდნენ ხოლმე. ამერიკაში მღვდლებიც მიდიოდნენ სახარების საქადაგებლათ; უამბობდნენ ინდოელებს, რომ თუ მოინათლებიან—სამოთხეში შეხვალთო.

— მერე ვინ არიან სამოთხეში? ჰკითხა ერთმა ინდოელმა.  
 — ყველა კეთილი ადამიანები. — მიუგო მოქადაგე მღვდელმა

— ისპანელებიც?

— სამოთხის კარი ყველა კეთილი ადამიანისათვის ღიაა... მხოლოდ კეთილებსათვის.

— არა, არ მოვინათლები! არ მინდა სამოთხე, საცა ისპანელია — იქ ნეტარებას ადგილი არა აქვს. — უპასუხა ინდოელმა და არც მოინათლა.

\*

რამდენიც უფრო მტარვალობას იჩენდნენ ისპანელები, იმდენათ უფრო ეჯავრებოდათ და სძულდათ ისინი ინდოელებს. ამიტომაც სრულებით არ ებრალებოდათ ინდოელებს ისპანელები, როდესაც ესენი საშინელი ციებისაგან იჭლიტებოდნენ.

ინდოელები სიამოვნებით უცქეროდნენ ისპანელებსა, როდესაც იმათ ციება აძაგძაგებდა. საცოდავებს საშინლად ემტერებოდა ციება: გაციების შემდეგ მისცემდა დიდს სიცხეს, სტკიოდათ სხეულის ყველა ასო; ასე ეწვავებოდნენ რამდენიმე დღესა და მერე გაყვირებულ — გამხდარნი სულსა ლევდნენ. რა წამ ლს არა ხმარობდნენ ისპანელნი მკურნალნი, მაგრამ არაფერი შველოდათ. ინდოელებს ისე როდი აწუხებდა ციება, როგორც ისპანელებსა: ინდოელნი შეჩვეულნი იყვნენ თავიანთ მიწა-წყალსა და სახსარიც იცოდნენ ამ ავადმყოფობისა.

ის მაღალი მთაგრეხილი, რომელიც ამერიკას სიგრძეზედ ჩასდევს, ახოვანი ხშირი ტყით არის შემოსილი. სწორეთ იმ ტყეებში — ამერიკის სამხრეთ მხარეს, რომელიც ისპანელებს ეკუთნოდა, და რომელიც ეხლა კი ცალკე სახელმწიფოს შეადგენს, იზრდება „ხე ცხოვრებისა“, ანუ ქინაქინის ხე ეს ქინაქინის სამშობლო ქვეყანა პერუ — 1821 წელს ისპანელებს ჩამოეცალა და ცალკე რესპუბლიკის სახელმწიფოდ გარდაიქცა. ქინაქინის ხე მაშინ ხშირი იყო პერუში, ეხლა კი ძალიან შეთხელდა. ამ ხის ქერქისაგან ამზადებენ ციების წამალსა — ქინაქინას. ქინაქინის ხეს მაღლობი ადგილი უყვარს და უფრო მთებზედ იზრდება. სიცივე ეჯავრება და დიდი სიცხისა კი



ემინიან. არ უყვარს ნოტიო ადგილი, მაგრამ გვალვასაც ვერ ეწყობა. ძალიან სწორე ხეთ იზრდება, ასე 2—3 საყენის სიმაღლეთ მიდის. სხვა ხეებისაგან შორიდანვე ადვილად ირჩევა. ფოთლები იასამნის ხის ფოთლებს წაუგავს, მხოლოდ ქვეშეთი მხარე მოწითანო ფერისაა.

\*

ამბობენ, რომ ინდოელებმა შემთხვევით გაიგეს ამ ხის მკურნალობის მნიშვნელობა. თურმე ერთი ინდოელი ავად გახდა; საშინლად გააცია—სულ კბილი კბილს აცემინა და მერე დიდი სიცხე მისცა, გაციების დროს მზეზე თბებოდა, სიცხის დროს გასაგრილებლად ხშირ ტყეში მივბოდა. თანდათან ეს უფრო ცუდად ხდებოდა... ერთხელ ხშირ ტყეში წყურვილმაც ძალიან შეაწუხა. აქეთ ეცა, იქით ეცა—ბოლოს წააწყდა ერთ გუბეს და დაეწაფა. გუბეში ხის ნაქარვეი ყლორტები და ფოთლები ეყარა. წყალს რაღაცა მუქი მოწითანო ფერი დაჰკრავდა და მწარე გემოცა ჰქონდა, მაგრამ ინდოელმა მაინც არ დაიზიზღა, რაკი ძალიანა სწყუროდა—იმდენი დალია, ვიდრე წყურვილს მოიკლავდა. ცოტა შესვენების შემდეგ შინ წამოვიდა. იმ ღამეს კარგად ეძინა; მეორე დილით ბევრად უკეთ იყო. წამოვიდა ისევ გუშინდელ გუბესთან და ხარბად დაეწაფა;—ის იყო და ისა—ავადმყოფობა მოშორდა. გაჰკვირდნენ ინდოელები და სცდილობდნენ გაეღოთ თუ რა ვუბე იყო, რომელმაც ავადმყოფი მოარჩინა. გასინჯეს გუბე და აღმოჩნდა რომ ქინაქინის ხის ყლორტების ქერქს გაეწითლებინა და გაემწარებინა წყალი. მასასადამე, ქინაქინის წყალს მოერჩინა ავადმყოფი.

ამის შემდეგ ინდოელებმა ამ ხის ყადრი ისწავლეს და სახელადაც „ხე ცხოვრებისა“ დაარქვეს... ამ ხის ავ კარგი არ უნდოდათ რომ ისპანელებს გაეგოთ და ერთმანეთს ფიცი ჩამოართვეს, რომ არავის არ წამოსცდენოდა მკაცრ მტრებთან ამ ხის სახელი და თვისება.

— დეე, გაანადგუროს ჩვენი ბოროტყოფელნი სასტიკმა ავადმყოფობამ—დაუნდობელმა სენმა!—გადასწყვიტეს ინდოელებმა.—ერთად ერთი ჩვენი მოკეთე, ჩვენი მოკავშირე და მომხრე ციებ ცხელებათა!



1640 წელსა პერუში მთავარმართებლად ერთი სასტიკი ისპანელი იყო. იმისი დაახლოვებული მოხელენი ცდილობდნენ რომ კარგს თვალზედ სჩვენებოდნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ცუდად ექცეოდნენ ინდოელებს. ამ მოხელეებში ერთი უფრო მეტის მეტი სასტიკი ხასიათისა ერია. საშინლად სძულდათ ინდოელებს ეს მოხელე და, როდესაც ერთაშად საშინელი წვალებით გარდაიცვალა, ხმა გავარდა, რომ ვითომ ინდოელებმა მოსწამლესო.

ეს ამბავი რომ ისპანიის ხელმწიფემ გაიგო — სხვა ახალგაზრდა მთავარმართებელი გაგზავნა იქა და ის ბოროტი კი სამშობლოში გადმოიყვანა. ახალი მთავარმართებელი გრაფი ცინხონი ახლად იყო დაქორწილებული. ის დიდ პატივსა სცემდა თავის ახალგაზრდა გულკეთილ მეუღლეს და ძალიანათაც უყვარდა. ამას არ უნდოდა მისი წაყვანა ამერიკაში და ურჩევდა ისპანიაში დარჩენილიყო, რადგან ინდოელებისა ეშინოდა:

— ვაი თუ მომიწამლონ ინდოელებმა, ფიქრობდა ცინხონი, — ან ვაითუ დაიგდოს იქაურმა სენმა და წუთისოფელს გამომისაღმოს! დეე, ისევ სამშობლოში დარჩეს — დაშორებას უფრო ავიტან, ვიდრე ძაგის სიკვდილს!

გრაფის მეუღლეს კიდევ თავისი ქმრის დარდი ჰქონდა:

— ინდოელებს თეთრკანიანი ხალხი სძულთ, რა იციან რომ ჩემი ქმარი კეთილი ადამიანია, რომ მოწყალე და შემბრალებელია! რა იციან, რომ უსაზღვროდ ალაღმართალი და სიმართლის მოყვარულია! რა მომიწამლონ ჩემი ძვირფასი მეუღლე, მერე რაღა მეშველება?! არა, რაც უნდა იყოს, რაც უნდა მოხდეს არ დავრჩები მე აქ! მეც თან უნდა გავყვე და ყველგან მხარში ამოვუდგე — ყველგან მფარველად გავუხდე!

ამერიკაში გრაფის მეუღლეს თავისი მეგობარი ქალი ანნაც გაჰყვა. გულწრფელად უყვარდა ანნას თავისი მეგობარი და როგორც თავის დისთვის, ისე ზრუნავდა ამისთვისაც.

ინდოელები დიდის მძულვარებით მოელოდნენ ახალ მთავარმართებელს. თუმცა ხმები დადიოდა, რომ გრაფი ცინხონი



ნი ალაღმართალი და გულკეთილი კაციაო, მაგრამ ინდოელებს არა სჯეროდათ: — ისიც ისპანელია; რას უნდა მოველოდეთ იმისაგან სიხარბის, სიმკაცრის და უსამართლობის მეტსაო!

\*

ამერიკაში ისპანელები ყველა საქმეებს თავისებურად განაგებდნენ. ხოლო ინდოელები თავის წესრიგით იქცევდნენ. იკრიბებოდნენ, ირჩევდნენ თავიანთ წინამძღოლებს და მამაპაპურად სჯიდნენ თავიანთ საქმეებს. მხოლოდ ისპანელების ჩუმად არიგებდნენ ყველა ამას და ისეთ ალაგას და ისეთ დროს იკრიფებოდნენ, რომ ისპანელებს აზრიც ვერ მიეტანათ იმათ თვითმართველობაზედ.

იმ დროს, როცა ძველი მთავარმართებელის მაგიერად ახალი მთავარმართებელი გრაფი ცინხონი მოდიოდა პერუში, ინდოელების წინამძღოლად კსიმეო იყო. კსიმეომ ისპანელებისაგან ბევრი ვაი-ვაგლახი ნახა, ბევრი გაქირება გამოიარა და ამიტომაც სძულდა ისინი; კეთილი გულის პატრონი კსიმეო ბევრი ქირვარმისაგან სასტიკ ადამიანად გადაიქცა; მაგრამ მტრის მოწამელას კი მაინც ვერ გაჰბედავდა, ისპანელების მოწამლის წინააღმდეგი იყო; ამისთანა საქმეს უკადრისათა სთვლიდა და თავის მოძმეებს ყოველთვის ეუბნებოდა ხოლმე:

— საკადრისი არ არის ბრძოლაში ამისთანა საქციელი ინმაროს პატიოსანმა კაცმა! მტერს ცხადათ უნდა ებრძოლო და არა მიპარვით, ქურდულათ!..

კსიმეო ცოლშვილიანი იყო. იმას ჰყავდა ვაჟი მირვანი. სამის წლის წინეთ, ვიდრე გრაფი ცინხონი მთავარმართებლად მოვიდოდა პერუში, მირვანი დაქორწილდა და შეირთო ერთი მშვენიერი, მეტად მშვიდი და ნაზი ქალი ზუმა. ზუმას გაგიჟებით უყვარდა თავისი ქმარშვილი — ორი წლისა ჰყავდა კიდევ ვაჟი.

მთავარმართებლის მოსვლის რამდენიმე დღის წინ კსიმეომ ერთ ღამეს შეჰკრიფა ინდოელები ერთ მივარდნილ ღელეში ქინაქინის ხის ქვეშ.

— მეგობრებო, მიჰმართა კრებას, — ისპანიილამ ახალი მთავარ-მართებელი მოკვდის. იქნება ის სხვაზედ უარესი გამოდგეს და უარესი დღეც დაგვაყენოს, უარესად გვტანჯოს-გვაწამოს! განვიმეოროთ ჩვენი ალთქმა ამ წმინდა „ხე ცხოვრების“-ს ქვეშ! — თავისდღეში არ გაუმხილოთ თეთრკანიანა ხალხს ამ ხის წამლური თვისება! მხოლოდ ერთი მოკავშირე — ერთი მომხრელა დაგვრჩენია ჩვენ! — ეს მომხრე, ეს ჩვენი მოკავშირე ციებაა; მხოლოდ ერთად-ერთი საუნჯელა დარჩათ თეთრკანიანებს წაუთმეველი! ეს საუნჯე ქინაქინის ხის ქერქია! შევიწახოთ ეს ციური მანანა ჩვენთვის, ძმებო! ღვთის რისხვა დაატყდეს იმას, ვინც გაამხელს ამ ჩვენ სახალხო საიდუმლოს! ღვთისა და ხალხის რისხვა იმას, ვინც ან შიშით, ან შებრალებით გასცემს საიდუმლოს!!

— დედამც შეერთოს ცოლად მოღალატეს, ფიცის გამტეხს! შეჭფიცეთ ერთმანეთს, რომ ფიცის გამტეხს მოღალატეს დედაშიწის პირიდგან აჰვეით! არამც თუ მარტო მოღალატეს, არამედ იმის ცოლშვილსაც, მშობლებსაც, მთელ მის ჩამომავლობას ნაცარტუტას აადენთ! მისხის მისხით აღმოჰფხვრით! ყვიროდა კსიმე:ა და თან მღელვარებისაგან ხმა ძაღზედ უკანკალებდა.

— ვფიცავთ!.. ვფიცავთ! — ერთის ხმით ხალხმა დაიგრი-  
 ალა:

— ვფიცავთ, „ხე ცხოვრებისას“ არ ვუღალატოთ! ვფიცავთ, ავიტანოთ ყველა წამება — ყველა ტანჯვა, მაგრამ საიდუმლო კი არ გავამხილოთ! ვაწამოთ ფიცის გამტეხი მოღალატე! ვფიცავთ, ამოვწყვიტოთ, ნაცარტუტა ავადინოთ მოღალატეს და მის ჩამომავალს! ყვიროდა აღელვებული ხალხი.

— ეხლა კი დაშოშმინდით, ძმანო, წარმოსთქვა აღელვებულმა კსიმეომ: — დავიშალნოთ, ღამით ხანგრძლივი ყრილობა საშიშაა, შეიძლება თეთრკანებმა გაგვიგონ და კიდევ დაკიდუპებით!

\*

თუმცა ძალიანა სძულდათ ინდოელებს თავიანთი შემავიწროებელი მტრები, მაგრამ ზოგიერთა წვრილმან საქმეებში პა-



„ხე ცხოვრებისა“


ტივსა სცემდნენ ხოლმე, რომ რა არის იქნება სასტიკად აღარ მოგვექცნენო. და აი, ინდოელი ახალგაზრდა დედაკაცები და გასათხოვარი ქალებიც კი მიეგებნენ ახალ მთავარმართებელს. ხელში ყვავილებით სავსე კალათები ექირათ და გზას უფენდნენ. ამ ახალგაზრდა ინდოელ ქალებში ზუმაც ერია. მთავარ-მართებლის მეუღლემ თვალი შეასწრო ზუმას სიმშვიდესინარნარეს; ძალიან მოეწონა. რამდენიმე დღის შემდეგ დაიბარა ზუმა და მოახლეთ აიყვანა .. ბოლოს ისე შეუყვარდა, რომ თავის იქით აღარსად უშვებდა და პირისფარეშად გაიხდა. ანნას არ მოსწონდა, რომ ინდოელი ქალი ასე ძალიან დაიახლოვა გრაფის მეუღლემ. ანნას ბევრი ცუდი რამ ჰქონდა გაგონილი ინდოელებზედ და ზუმასიც ეშინოდა. თეთრკანა მოახლევბმაც ბევრი რამ ჩააგონეს ზუმაზედ თავიანთ ქალბატონს!

— სულ სტყუის, ქალბატონო, ზუმა, სულა! ეუბნებოდნენ მოახლევები.—თავს ისე გიჩვენებთ, ვითომ უყვარხართ, მაგრამ ჭირივით კი სძულხართ! ძალიან კუდიანურად—ოინურად იქცევა, უნდა თქვენი სიყვარული დაიმსახუროს და მერე კი დროს შეგიჩრჩევს და დაგლუჯავთ! ინდოელი არ არის ეგეცა? ნუ ენდობით, ქალბატონო, თავს გაეტოთხილდით!


მაგრამ გრაფის მეუღლე ყურს არავის უგდებდა—ზუმა უფრო და უფრო მეტად შეიყვარა და ზუმასაც გულწრფელად უყვარდა თავისი გულკეთილი ქალბატონი.

სალომე მაღალაშვილი.

(შემდეგი იქნება)



# ბანანა.



ცხელ ქვეყნების მრავალ სხვა მცენარეთა შორის შესანიშნავია ბანანაც. ბანანა იზრდება სიმაღლით სამი-ოთხი საყენი. იგი ბალახი მცენარეა და არა ხე და ბალახ მცენარეთა შორის ერთი უდიდესთაგანია დედა-მიწაზე. ტანი შემოსილი აქვს ყერწების ნაშთებითა; ეს არის იმ ფოთლების ნაშთები, რომელნიც უკვე მოიცვალა ბანანამ. ტანზე, ზევით, გადაშლილია ვეებერთელა ფოთლები ღია-მწვანე ფერისა,

სიგრძით სამს ადღზე მეტი და სიფართით ერთი ადლი ფოთოლი ბუნებით ნიკებზიანი როდია, ერთიანია, მაგრამ იმდენად ქორთვა და ნაზია, რომ როგორც კი ცოტაოდნათ შეარხვეს ქარი, მაშინვე დაუსქდება კიდეები და ჩაეხვევა. სკოცხლობს ბანანა ერთს წელიწადს, დიდი-დიდი — ორს, შემდეგ გახმება და მოსკრიან, მაგრამ ძირი კი არა კვდება, გადანაჭერზე ხელ ახლა ამოვა ყლორტი, რომელიც, როგორც პირველი, სკოცხლობს ერთს წელიწადს. ბანანას თესლით აშენებენ ხოლმე.



მიწიდგან რომ ამოვა, მერვე თვეზე გაიკეთებს თავთავს, რო-



მელშიდაც არის ორასა—სამასი ნაყოფი, გარეგნობით კიტრის მსგავსი, თითქმის ნახევარი ადლის სიგრძე და ცოტად მოხრილი ნამგლის მსგავსად. ყვავილი იცის ძალიან ლამაზი, რომელიც აჭრელებულია სხვა და სხვა ფერ ზოლებით: ალაგ ყვითელი ზოლები აქვს, ალაგ წითელი და ალაგ ცისფერი. ნაყოფი ფერად მწვანეა; როდესაც დამწიფდება, გაყვითლდება ხოლმე და მაშინ სქამენ მას. სანამ მკვახეა, შიგნით გული რბილი აქვს, ხოლო როდესაც დამწიფდება, გული დაუფქვილდება და შემწვარი მოგვაგონებს კარტოფილს. გემო სისამოვნო აქვს, ვგრეთვე სუნიც. უმწიფარი ბანანის ქამაც შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოიხრაკოს იგი ერბოში ან ზეთში, ან და მოიხარშოს ხორციან და ხორცილ გაკეთდეს მწიფე ბანანის ნაყოფს გაახმობენ ხოლმე, დაუქვავენ და ფქვილისაგან ამზადებენ პურს. ზოგიერთ ქვეყნებში, სადაც ჩვეულებრივი პური ძალიან ძვირია, მაგალითად ყუბის კუნძულზე და სხვა კუნძულებზედაც, რომელნიც ეკუთვნიან ვესტინდოეთის ჯგუფს, ღარიბი მუშა ხალხისათვის ერთად ერთი პური ბანანის პურია. საზოგადოდ ბანანა აძლევს ადამიანს უხვსა და ნოყიერს საკმელს. მაგრამ მარტო ნაყოფს კი არ სქამენ ბანანისას, ქორთვა ფოთლებსაც ხმარობენ საკმელად. საკმაოა ექვსი-შვიდი ძირი ბანანა, რომ წლის საყოფი სარჩო მისცეს თავის პატრონს. მოვლას კი არაფერს მოითხოვს იმდენს; წელიწადში ერთხელ-ორჯელ უნდა შემოთოხნო გარშემო და ერთხელაც ყლორტი უნდა მოსჭრა ძირზე. როდესაც განხება, რომ შემდეგ ახალი ამოვიდეს და ხელ-ახლა ნაყოფი მოიტანოს.


მარტო საკმელსაც არ იძლევა ბანანა, სხვა-ფრივაც სასარგებლოა ადამიანისათვის. მის გრძელ და ფართო ფოთლებს ხმარობენ სუფრის და თევშების მაგივრად: როდესაც უნდათ ისადილონ, მოსწყვეტენ ბანანის ფოთოლს და გაიშლიან წინ. ბანანისავე ფოთლებით შესწავვენ ხოლმე ხორცს: ხორცს გამოხვევენ ფოთლებში და ჩაფლავენ ღველფში. ბევრები ბანანისა იმდენად მაგარია, რომ ძაფს ართავენ და ძაფისაგან მერმე მატერიასაცა ჰქსოვენ ტანისამოსისათვის.

ჩვენში ბანანას შეხედება კაცი მდიდრების სადგომებში: ოთახებში უდგიათ ხოლმე სამშენიერებლად. გარდა ამისა,



ბანანის მცენარეს იპოვეთ თბილ სამცენარეობში, სადაც ინახვენ ცხელ ქვეყნების სხვა და სხვა მცენარეებს. ბუნებითი სამშობლო კი ბანანისა, სადაც იგი ხარობს ცასქვეშ, არის ინდოეთი, აფრიკა და სამხრეთი ამერიკა. ამ ქვეყნებში ყოველგან შეხედებით ბანანას, სადაც კი სდგას ადამიანის ქოხი; ქოხს ზევიდგან გადაფარებია იგი თავის დიდრონი ფოთლებით და მშენიერი ჩრდილი მიუცია სახლის პატრონისათვის იმისთანა საოცარ პაპანაქებაში, როგორც სჩვევია ტროპიკულ მხარეს. —

ალექსი ჭიჭინაძე.



## თეთრი ფინია

IV



მეზოვე ყვიროდა და ჩქარის ნაბიჯით ჩამორბოდა, პერანგის სახელოები იალქნებივით ებერებოდნენ.

— ეი! ეი! მოიცადეთ!

— ისე დაგასველოს ღმერთმა რომ აღარ გაგაშროს, გაჯავრებული წამოილაპარაკა მოხუცმა. — უთუოდ არტომას თაობაზე თუ მოდის.

— მოდი ერთი კარგად მივტყუებოთ! — სთქვა მამაცათ სერგომ.

— თავი დამანებე... ღმერთო, რა ხალხი ყოფილა!..

— თქვენ, აი რა უნდა გითხრათ... ქოშინით დაიწყო მეზოვემ. — გაჰყიდით ძალს? ვერაფერი გავაწყეთ პატარა ბატონთან. ხბოსავით მბლავის: — მომიყვანეთ ძალლი და მომიყვანეთ! — ქალბატონმა გამომგზავნა, რაც უნდა ღირდეს იყიდეს ის ძალლი და მოიყვანო.

— ძალიან დიდი თავხედობაა შენი ქალბატონის მხრივ, გაჯავრებით თქვა ლადიქინმა, რომელიც აქ, ამ ზღვის პირათ, უფრო თამამად გრძნობდა თავს, ვიდრე სხვის ეზოში.

— ან ჩემი ქალბატონი რათ იქნება? შენი კიდევე ჰო — მე კი ფეხებზე მკიდია. გთხოვ თავი დაგვანებო და საიღამაც მოსულხნარ ისევ იქ დაბრუნდი. — თუ ღმერთი გრწამს ნუ ჩავცვი-ებიხარ.

მაგრამ მეზოვე არ წყნარდებოდა. მოხუცს გვერდით მოუჯლა და ლაპარაკობდა.

— გაიგონე, შე სულელო...

— სულელისაგან მესმის ეგ სიტყვები, უპასუხა მოხუცმა.

— მოიცა. შენ თვითონ დაფიქრდი, რა შეილია ეგ ძა-

ლლი? მეორე ლეკვს იზოვნი, უკანა ფეხებზე დგომს ასწავლი, მორჩა და გათავდა. მართალს არ ვამბობ? ჰა?

ბაბუა სარტყელს იკრავდა და თითქოს გულგრილად უბასუხებდა მეეზოვეს კითხვაზე.

— რამდენიც გინდა იყბედე.. მე მერე გიბასუხებ.

— აქ კი მთელი სიმდიდრეა! ორასი, სამასი მანეთი ერთბაშად, — ცხარობდა მეეზოვე, — მთელი განძია. — მეც შრომის ფასიც კოტაოდენი მერგება. კარგა დაფიქრდი, სამი ას-ას მანეთიანი! ამ ფულით მთელ ბაყლის ღუქანს გახსნი.

ამ ლაპარაკში მეეზოვემ ჯიბიდან ძეხვი ამოიღო და ძაღლს გადუგდო. არტომ ჰაერში დაიჭირა და უცბათ გადაყლაბა და კუდი გაიქნია.

— გაათავე? ჰკითხა, მეეზოვეს, მოხუცმა.

— ჰო, ამას რა ბევრი ჩიჩინი უნდა. ძაღლი მომეცი.

— მაშ ძაღლი გავყიდო? აგრე განა! დაცინვით უთხრა მოხუცმა.

— რასაკვირველია გაყიდე. მეტი რა გინდა? ჩვენი ბატონის შვილი იმის თანა გადარეულია, რომ რასაც მოანდომებს უთუოდ უნდა აუხრულონ. მომიტანეთ და გათავდა. ეხლა კიდევ მამა აქ არა ჰყავს. მამა როცა აქა ჰყავს, მაშინ ყველანი იმის წინ მალაყს გადადიან. ჩვენი ბატონი ინჟინერია, მთელი რუსეთის რკინის გზებს ის აშენებს. მილიონები აქვს! შვილი კი მარტო ერთი ჰყავს. ძალიან განებივრებულია. ცხენს მოინდომებს, მიერთმევა, ნავს—მიერთმევა. ერთი სიტყვით არაფერზე უარს არ ეუბნებიან, ყველაფერს უსრულებენ.

— მთვარეს?

— როგორ თუ მთვარეს?

— ჯერ მთვარე არ მოუთხოვნია. რომ ცილამ ჩამოუღონ.

— რას ამბობ, მთვარე კი არა! — შერცხვა მეეზოვეს.

— რას იტყვი, კეთილო კაცო, თანახმა ხარ?

მოხუცმა ამ დროს ტანთ ჩაიცვა და წელში გაიმართა.

— ერთ რასმე გეტყვი, დაიწყო მან, მაგალითად შენ რომ ძმა, ან მეგობარი, რომელიც შენთან ერთად პატარობითვე შეზრდილია.. მოიცა, ძმაო, შენ მაგ ძაღლს ტყუი-



ლად ძებნეს ნუ აქმევ... შენ თითონ სქამე, მაგითი ვერ მოი-  
სყიდი, ჰო, კარგი საყვარელი მეგობარი რომ გყვანდეს, რო-  
გორ გაჰყილდი იმას?

— ეგ რა შედარებაა!

— ის შედარებაა, რომ შენს ბატონს, რომელიც რკინის  
გზებს მთელ რუსეთში აშენებს, მოახსენე... ასე მოახსენე,  
რომ ყველაფერს, რასაც მოინდომებს, ვერ იყიდის. დიად!  
შენ მაგ ძალოს ტყუილად ნუ ეალერსები. არტო, მოდი აქ,  
მე შენ გიჩვენებ! სერგო, წავიდეთ!

— შე ბებერო, სულელო, სთქვა მეეზოვემ.

— იქნება სულელიც ვიყო, შენ კი მდაბალი სული, მონა  
ხარ. იუდავ, გამყიდველო, —გალანძლა მოხუცმა—როცა შენ  
დიდებულ ქალბატონს ნახამ, ჩემ მაგივრად მოკითხვა მოახ-  
სენე, მძიმე სალამი უძღვენი. ხალიჩა დაკეცე, სერგო. ვაი,  
ჩემო წელო, საცოდავო! წავიდეთ.

— მაშ მაგრე! გააგრძელა მეეზოვემ.

— როგორც მობრძანდი, ისე წაბრძანდი, —უპასუხა მო-  
ხუცმა.

არტისტები ისევ იმავე გზით წავიდნენ როგორი გზითაც  
ჩამოვიდნენ ზღვაზე. სერგომ შემთხვევით უკან მიიხედა და ნა-  
ხა რომ ბეეზოვე ძალიან ჩაფიქრებული და დაღონებული იმათ  
თვალს არ ამორებდა და დაკვირვებით უცქეროდა.

ლადიჟკინს დიდიხანია ამორჩეული ჰქონდა დასასვენებ-  
ლათ ერთი ადგილი, რომლის ახლოც მშვენიერი მთის ნაკა-  
დული ჩამოჩხრილვბდა. ახლაც თავისი თანამგზავრებიც იქ წა-  
იყვანა და ნაკადულის მახლობლათ მწვანეზე ჩამოჯდა.

— აბა, სერგო მოდი. ღმერთო, შენ შეგვეწიე!

მოხუცმა ჩანთიდან ამოიღო პური, ათიოდე პამიდორი, თა-  
ორული ყველი და ბოთლით ზეთი. სისუფთავით საექვეო ნა-  
ქერში მარილი ჰქონდა გამოკრული, ჰამის წინად მოხუცი დი-  
დხანს პირჯვარს იწერდა და რაღასაც ბუტბუტებდა. მერე პუ-  
რის ყუა სამ ნაქრად გატეხა, უფრო დიდი ნაქერი სერგოს მის-  
ცა. ბავშვი მოზარდიაო—მეტი ჰამა უნდაო მეორე მომცრო  
ფინიას წილი იყო და ყველაზე პატარა თავისთვის დარტოვა.



— სახელითა — მამისათა და ძისათა შენი მფარველობის თვალი იყოს ჩვენზე, უფალო, — ბუტბუტებდა მოხუცი და საკმელს ანაწილებდა და პომიდორს ზეთს ასხამდა. ჭამე, სერგო ღმერთმა შეგარგოს!

დაწყნარებული, აუჩქარებლივ, როგორც ნამდვილი მშრომელი ისე შეექცეოდნენ ჩვენი მგზავრები თავიანთ ღარიბ სადილს. არტო წამოწოლილი თავის ლუკმას შეექცეოდა, ბაბუა და სერგო თავიანთ მწიფე პომიდორს მარილში აწებებდნენ და პურსა და ყველს ატანდნენ. როცა გამოძდნენ მშვენიერი ანკარა ცივი წყალი დააყოლეს. საშინელმა სიცხემ, გაუთენებლივ ადგომამ და ბევრმა სიარულმა ისე დაქანცა ჩვენი მგზავრები, რომ ძალა უნებურათ თვალები ეხუჭებოდათ.

— აბა რას იტყვი, ძმობილო, მოდი ცოტათ, დავიძინოთ. აბა ერთი უკანასკნელათ კიდევ დამალევიანე ეს წყალი, უჰ! რა მშვენიერია, მე რომ მეფე ვიყო, სულ ამ წყალს ვსვამ, წამოიყვირა მოხუცმა. წუნწკლები უღვაშებიდან ჩამოსდიოდა, — არტო მოდი აქ.

მოხუცი და ბავშვი წამოწნენ, თავქვეშ თავიანი ჩასაცმელი ამოიდეს. ნაკადულის ჩხრიალი თითქოს ნანას ეუბნებოდა მათ. მოხუცი ერთხანს ტრიალებდა, კვნესოდა და ლაპარაკობდა. მაგრამ სერგოს კი ეს ხმა თითქოს შორიდან მოესმოდა.

— ყველაზე უწინარეს, მე შენ ოქრო — მკედით ნაკერს ვარდის ფერ მაუდის ტანისამოს გიყიდი... ფეხსაცმელსაც ვარდის ფერ ატლისისას. მე შენ იტალიიანურ სახელს გამოგიგონებ, თორემ აბა ლადიჟკინი ან ესტიფევი რა საკადრისია. აფიშაზე ანტონიოს, ენრიკოს ან ალფონსიოს გამოვაცხადებ. ბავშვს აღარა ესმოდა რა ისე მაგრა და ტკბილათ ჩაეძინა. მოხუცმაც ლაპარაკი გასწყვიტა და იმ ფიქრით დაეძინა, რომ ოდესმე იმის პატარა სერგოს დიდებული მომავალი მოეღოს. ერთჯერ ძილში მოეჩვენა რომ არტო ვილასაც უღრენდა, უცბად თავში მეფობე გაუელვა, მაგრამ სიარულისაგან და სიცხისაგან დაქანცული ფეხზე ვერ წამოდგა და დაიყვირა:

— არტო, სადა ხარ, აი შე მაწანწალავ!

ფიქრები ისევ აერია და ჩაეძინა.

ლადიჟკინს სერგოს ხმამ უცბათ გამოაღვიძა. ბავშვი დაბრბოდა უსტვენდა შეშინებული და შეწუხებული ყვიროდა:

— არტო აქ! დაბრუნდი! ფშიუ, ფშიუ! არტო.

— რა გაღრიალებს, სერგო? უკმაყოფილოთ ჰკითხა ლადიჟკინმა.

— ძაღლი ძილში მოგვპარეს, უპასუხა ბავშვმა. — ძაღლი დაიკარგა.

კიდევ დაუსტინა და კიდევ დაუყვირა.

— არტო-ო-ო-ო!

— სისულელეს იგონებ!.. დაბრუნდება, — სთქვა ბაბუამ. უცბათ წამოხტა და გაჯავრებული ჩახრინწულის ხმით ძაღლს ძახილი დაუწყა.

— არტო აქ, შე საძაგელო მაწანწალავ! მე შენ გიჩვენებ!

საჩქაროზე დასუკტებული მუხლებით ხიდი გადირბინა, შარა გზაზე ავიდა, მაგრამ ძე-ხორციელი არსად სჩანდა.

— არტო, არტოშა!, — მწუხარებით დაიკვნესა მოხუცმა, უცბათ შესდგა, ძირს დაიღუნა და დაუყუდა.

— ჰო.ო? აი რაშია საქმე! სთქვა ლადიჟკინმა მწუხარებით.

— კიდევ რა მოხდა? დაუძახა უსიამოვნოთ ბავშვმა. —

— სერგო... ეს რა არის?.. აი ეს, რა არის? გესმის, დაღონებული ეკითხებოდა მოხუცი.

ის მწუხარებით შეჰყურებდა ბავშვს და თითი დედა — მიწისაკენ ჰქონდა გაშვერილი.

გზაზე, მტვერში, ვეება ნაქერი ძეხვი ეგდო და აქეთ იქით ძაღლის ფეხის კვალი სჩანდა.

— გაიტყუა იმ შეჩვენებულმა! — შეშინებული ჩურჩულებდა მოხუცი. — სწორედ იმის საქმეა. — გახსოვს ზღვის პირას ძეხვს რომ აქმევდა.

— რასაკვირველია იმისი საქმეა, გაბრაზებული წამოიძახა სერგომ... მოხუცს თვალები ცრემლით აევსო და ხელები მიიფარა სახეზე.

— რა ვქნათ ეხლა, ჩემო სერგო? ჰა? რა ვქნათ? — კითხულობდა ლადიჟკინი და თავს აქნევდა.



— რა ვქნათ, რა ვქნათ? აჯავრებდა სერგო. — ადექი წავიდეთ.

— წავიდეთ, მწუხარებით გაიმეორა ბაბუამ და ძლივს ფეხზე წამოდგა. — მაშ წავიდეთ, სერგო?

მოთმინებიდან გამოსულმა სერგომ მოხუცს დაუყვირა.

— გეყოფა მაგდენი წუწუნი? ვის გაუგონია, რომ სხვის ძაღლებს იპარავდნენ? გაშტერებული რას მიყურებ? ტყუილს ვამბობ? პირდაპირ მივიდეთ და უთხრათ რომ ძაღლი შენ მოიპარე და მოგვეცი! თუ არა და სასამაჟთლოს მიემართოთ, მორჩა და გათავდა.

— სასამართლოს, მსაჯულს, მართალია, მწარე ღიმილით და დაფანტულივით იმეორებდა მოხუცი. მე რე თავი ძირს ჩაღუნა და დაუმატა: — მსაჯულს განა, ძალიან კარგია, მაგრამ როგორღაც მოუხერხებელია.

— რატომ არ მოხერხდება? კანონი ყველასთვის ერთია, მოუთმენლად გაუმეორა ბავშვმა.

— იცი, სერგო, ნუკი გამიწყრები. ძაღლს ჩვენ ვერ დავიბრუნებთ. ბაბუამ უცბად ხმა დაიმდაბლა. — მე პასპორტისა მეშინიან. გაიგონე, წელან იმ ოქროს სათვალეებიანმა რას თქვა? იკითხა, პასპორტი გაქვსო? აი რაშია საქმე. მე კი, — შეშინებული და ჩურჩულით სთქვა მან, — მე კი, სერგო სხვისი პასპორტი მაქვს.

— როგორ თუ სხვისა?

— დიად, სხვისა, ჩემი პასპორტი ტაგანროვში დამეკარგა, იქნება კიდევ მომპარეს, არ ვიცი. ორი წელიწადი სულ ვიმაღლებოდი, ქრთამს ვაძლევდი, რომ არ გამცენ მეთქი, თხოვნებს ვწერდი, ბოლოს ვნახე, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია. ყველასი მეშინოდა, მოსვენება არა მქონდა. ოდეს-საში ღამის გასათევებელ სახლში ერთი ბერძენი შემხვდა. ეგ სულ უბრალო საქმეაო, მითხრა მან. — ოცდა ხუთი მანეთი მომეცი და პასპორტს გიშოვნისო. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე. ბოლოს დავთანხმდი და აი მისაქეთის სხვის პასპორტით ვცხოვრობ.

— ოჰ, ბაბუა! ბაბუა! ნამტირალევი ამოიოხრა ბავშვმა, — ძაღლი ძალიან მენანება, კარგი რამ იყო!





## თეთრი ფინია

— სერგო, ჩემო საყვარელო შვილო! აკანკალებული ხე-  
ლები გაუშვებო ბავშვს. — პასპორტი რომ მქონდეს, მე იმათ  
უჩვენებდი როგორც უნდა ძაღლის მოპარვა, ყელში წაუჭერ-  
დი!.. როგორ თუ? უკაცრავად! რა უფლება გქონდათ რომ სხვის  
ძაღლს იპარავდით? ეგ სადაური წესია? ეხლა კი, ჩემო პატა-  
რავ, როგორც პოლიციაში მივალ, მაშინათვე ქაღალს მომ-  
თხოვენ: — შენა ხარ სამარის მოქალაქე მარტინ ლადიჟკინი?  
დიად მე გახლავარ თქვენო კეთილშობილებავ. მე კი უბრალო  
გლები ივანე დუდკინი ვარ. ვინ არის ეს ლადიჟკინი, ღმერთ-  
მა იცის. ვინ იცის, იქნება ვინმე ქურდია, ან კაცის მკვლელია.  
არა, სერგო, ჩვენ აქ ვერაფერს ვერ გავაწყობთ, ვერაფერს!  
ჩოხუცს ხმა ჩაუწყდა და ქვითინი დაიწყო. სერგო აღელვებ-  
ული იდგა და ხმას ვეღარ იღებდა, ბოლოს მოეხვია მოხუცს  
და ზეზე წამოაყენა.

— წავიდეთ, ბაბუა, — უთხრა მან ალერსით. ეშმაკსაც წა-  
ულია ეგ მოწმობა, წავიდეთ! ამ შარა გზაზე დავეს ხომ ვერ  
გავათევთ.

იმ დღეს ამათ ვეღარ იმუშავეს. თუმცა სერგო ერთობ  
პატარა იყო, მაგრამ კარგად ესმოდა, თუ ბასპორტს რა დი-  
დი მნიშვნელობა აქვს.

გზაზე ვამოიარეს იმ სახლის წინ, სადაც არტო ეგულე-  
ბოდათ იმ იმედით, რომ იქნება ძაღლის ყეფა მაინც გაიგო-  
ნონ, მაგრამ ამოად, რკინის კარები მაგრად იყო ჩაკეტილი,  
ჩამომწკრივებულ ალვის ხეების შიგნით ბაღში სრული სიჩუმე  
სუფევდა.

— ბატონები! მწარეთ და სასოწარკვეთილებით წამოი-  
ძახა მოხუცმა

— კარგი, გეყოფა, წავიდეთ, — ბრძანებლობის კილოთი  
სთქვა სერგომ და მოხუცმა გაიარა.

— სერგო, იქნება ჩვენი არტოშა გამოიქცეს? უცბად წა-  
მოიყვირა მოხუცმა. — ჰა! როგორ გგონია?

ბავშვი გაჩუმებული იყო და ჩაფიქრებული წინ მიდი-  
ოდა. სახეზე ეტყობოდა იმას, რომ რაღაც გადაწყვეტილებას  
დასდგომოდა.

## VI

ესენი გაჩუმებულნი აღუპკამდინ მივიდნენ. იქ ერთ ქუჩ-  
 ყიან ყავახანაში, რომელსაც „ილდიზი“, ესე იგი „ვარსკლავი“  
 ერქვა, შევიდნენ ღამის გასათევათ. აქ ბევრი ქვის მტვრე-  
 ვი ბერძნები, მიწის მთხრელი თათრები და მუშა ხალხი დაუ-  
 ხდნენ. როცა ყავახანა დაიკეტა, ზოგი მაგიდებზე დაწვნენ  
 და ზოგნი კი იატაკზე. თავქვეშ თავიანთი ჩასაცმელები ამო-  
 იდეს. ლადიჟკინი და სერგოც იატაკზე წამოწვნენ.

შუალმე კარგა გადაცილებული იყო, როდესაც სერგო  
 ფრთხილათ ადგა და ჩაცმა დაიწყო. ყავახანის ფანჯრებში  
 მთვარის მკრთალი ნათელი მოსჩანდა. ფეხ აკრეფით მივიდა  
 კარებთან, სადაც ყავახანის პატრონი იწვა.

— ასე აღრიანაი სად მიდიხარ, შე ლაწირაკო შენა, წაი-  
 ლულულა ნამძინარევა ყავახანის პატრონმა, იბრაგიმმა.

— გამიშვი, საქიროა, გაჯავრებული უპასუხა სერგომ.  
 — ადე, კარები გამიღე

იბრაგიმმა ზმორებით და ქექით კარები გაულა.

გამოიარა სერგომ თათრის ვიწრო ბაზარი, სადაც სახლე-  
 ბი ერთი ერთმანერთზე იყო მიშენებული. აქა-იქ ძაღლის ყე-  
 ფა ისმოდა.

გაიარა თეთრათ შედებილი მწვანე გუმბათიანი მეჩეთი,  
 რომელიც ალვის ხეებით იყო შემოზღულდული. ვიწრო ქუჩით  
 შარა გზაზე გამოვიდა, რომ უფრო სუბუქათ ევლო, სერგომ  
 ტანისამოსი არ ჩაიცვა და მარტო ტრიკოში იყო გამოწყობი-  
 ლი. მთვარე ბავშვს ზურგს უნათებდა და მისი ჩრდილი კი  
 გრძლათ წინ მირბოდა. რაღაც ჩიტი გალობდა: „მძინავს,  
 მძინავს, თითქოს რამე საიდუმლოებას უდარაჯებს და არწმუ-  
 ნებს, რომ ნუ გეშინიანთ, მე მძინავსო“.

ტყეებს მალდა, თითქოს ცას ებჯინებოდა ჰაი-პეტრო,  
 ის იმისთანა სუბუქი და ჰაეროვანი იყო, რომ თითქოს შე-  
 ვერცხლილ ქალღმერთსაგან არის გამოქანდაკებულიო.

გარშემო სრული სიჩუმე სუფევდა. სერგო ცოტა არ იყოს  
 შეკრთა, მაგრამ ამასთანვე რაღაც სიმამაცესა და თავგანწირუ-  
 ლობასა გრძნობდა. ერთ შესახვევიდამ ზღვაც გამოჩნდა.



ბოლოს მიაღწია იმ სახლთან, სადაც არტო ეგულებოდა. ჩუმად პატარა კარებში შეძვრა. ბაღში ბნელოდა, შორი-დამ ნაკადულის ჩხრიალი ისმოდა. სერგოს ფეხქვეშ ხიდის ფიცრებ ქრიალებდნენ. აი, დიდი ალაყაფის კარებიც გამოჩნდა, შიგნით სრული სიჩუმე და სიბნელე იყო.

ერთ წუთს სერგო საშინლათ შეკრთა, მაგრამ თავი შეიკავა და წაიბუტბუტა:

— რაც უნდა დამემართოს, მაინც გადავძვრები ამ ალაყაფის კარებზე. სულ ერთია!

კარებზე ასვლა გაუძნელდა. რკინის ჩუქურთმა ცოტა არ იყო, შველოდა ფეხის მოსაკიდებლათ. კარებს ზემოთ ქვის თალი ჰქონდა. როგორც იყო იმ თალზე აცოცდა, მუცელზე და წვა და ფეხები ძირს ჩამოჰკიდა. დიდხანს ფეხ მოსაკიდებელ ადგილს ეძებდა, მაგრამ ვერ შეხვდა, იმას ვერ მოეაზრებინა, რომ თალი კარებზე უფრო განიერი იყო და მოშორებულ იდგოდა, რომ თავი ვეღარ შეიმავრა და პირდაპირ დედამიწაზე დაეფერთხა. ფეხქვეშ ღვიჭამ ჩხრიალი დაიწყო, მუხლის თავებში საშინელი ტკივილი იგრძნო, რამდენიმე წუთი დაჩოქილი იდგა, დაცემისაგან გაბრუებული. — ეგონა, რომ ეს ეს არი, ყველამ გამოიღვიძა, ხმატრობა ასტყდა, თვალწინ ვარდისფერ პერანგიანი მეფოვე წარმოუდგა .. მაგრამ როგორც წინეთ, ეხლაც ისეთივე სიჩუმე სუფევდა. ხოლო რაღაც ბზუილი ესმოდა.

— ყურებში მიბზუის! მოიაზრა სერგომ და ფეხზე წამოდგა. ბაღში მშვენიერი ყვავილების სუნი იდგა. ვარდის ბუჩქები ნაზად ქანაობდნენ, თითქოს რაღასაც ერთმანერთს ეჩურჩულე ბოდნენ. კახტა, მაღალი ალვის ხეები ნაზად თავს იხრიდნენ. მოჩუხჩუხე წყლის გადაღმა ბუჩქებში ჩიტი თავის „მძინავს“ იმეორებდა.

ბნელაში სერგომ ადგილი ვეღარ იცნო, ბევრი აქეთ-იქით სიარულის შემდეგ როგორც იყო სასახლეს მიადგა.

ბავშვს არც ერთხელ თავის სიკოცხლემში ასეთი მარტობა, უნუგეშობა და სასოწარკვეთილება არ ეგრძნო, რო-



გორც ახლა. უშველებელი სასახლე თავის მტრებით და სასტიკი უგულო ხალხით სავსე ეგონა. თითქოს სარკმლებიდან ყველა უთვალთვალევენ და ერთი ჯობალო ხმაურობა საკმარისი იყო, რომ გამოცვინულიყვნენ და ბავშვი ნაკუწ-ნაკუწად ექციათ.

„შიგ სახლში არ ეყოლებათ.“ წაიბუტბუტა თითქოს ბურანში ბავშვმა. სერგომ სასახლეს გარს შემოუარა, სახლის უკან ეზოში რამდენიმე წვრილი შენობა იყო, როგორც ეტყობოდა მოსამსახურების სადგომები უნდა ყოფილიყო. აქაც, როგორც სასახლეში სინათლე არსად არ მოსჩანდა. მე აქედამ ცოცხალი ვეღარ გავალ“ მწუხარებით ფიქრობდა ბავშვი. მოაგონდა ბაბუა თავისი ორდანითა, ქუჩუიან ყავახანებში ღამის თევა, ჩრდილში მშვენეი - წყაროებთან საუბმეები. „მე ამეებს აღარა დროს აღარ ვეღირსები!“ იმეორებდა სერგო და საშინელ სასოწარკვეთილებას ეძლეოდა.

უცბათ ნელი ღმუილი მოესმა - ბავშმა ყურები დააცქვითა: სული განაბა, ფეხის თითებზე შედგა ღმუილი ხელ მეორედ მოესმა. ის სარდაფიდან ისმოდა, სადაც ოთხკუთხი უმინო ნახვრეტი მოსჩანდა. ნელი, ფრთხილი ხმაურობა მოისმა, მაგრამ ისევ მალე დაწყნარდა.

— არტო!! არტოშა! დაუძახა სერგომ ჩუმის აკანკალებულის ჩურჩულით, საშინელი ყეფა გაისმა მთელ ბაღში. ამ ყეფაში სიხარული, ჩივილი და სიბრაზე იხატებოდა. მოისმოდა, ძალი როგორ ძალით ჰგლეჯს რაღასაც, რომ თავი გაინთავისუფლოს.

— არტო! ჩემო პატარავ! არტოშა! ნამტირალის ხმით უმეორებდა ბავშვი.

— ციც, შე წყეულო! მოისმა გაჯავრებული ბოხი ხმა. სარდაფში რაღაც მძიმეთ დაეცა და საშინელი ძალის წრიპინი მოისმა.

— ნუ სცემ ძალს! არ გაბედო მაგისი ცემა, შე შეჩვენებულო! - დაიყვირა გამწარებულმა სერგომ და ქვის კედელს ფხაქნა დაუწყა.

შემდეგ რაც მოხდა სერგოს სიზმარით ძლივს ახსოვს.



უცბათ კარები გაიღო და პერანგის ამართ მეფხოვე გამოვარდა.

— ვინ დაწანწალებს ბაღში? — მოვკლამ ღმერთმანი, სა-  
შინლათ დაიღრიალა მეფხოვემ. — ქურდები! მცარცველები!

ამავე დროს კარებიდან თეთრი ბურთივით არტო გამო-  
ვარდა ყელზე თოკის ნაჭერი ეკიდა.

ბავშვს ძაღლისთვია აღარ სცალოდა. საშინელი მეფხო-  
ვეს დანახვამ შიშის ზარი დასცა, მუხლები დაუსუსტა ისეც  
დასუსტებულ ბავშვს, თითქოს დამბლა დაეცა. საბედნიეროდ  
ამ მდგომარეობაში დიდხანს არ გასტანა, ერთი საშინლად დაი-  
კვილა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიქცა.

სერგო ჩიტივით მიფრინავდა, თითქოს მუხლებში რაღაც  
ძალი ჩაუდგა. გვერდით არტო მოსდევდა და მხიარულად ჰყეფ-  
და, მეფხოვე კი კბილებს აკრაქუნებდა და ილანძღებოდა.

ერთ წამს სერგო კარებს შეახტა, მაგრამ ვერას გახდა,  
მერე ალვის ხეებ და ქვის ღობეს შუა დაბალი-გასაძრომი იყო.  
სერგომ დაიღუნა და იქ შეძვრა ხის ტოტები სახესა სჩხვლეთ-  
დნენ. ფეხი უცურდებოდა, ეცემოდა ძირს, მაგრამ ისევ მალე  
წამოხტებოდა. ხელები დასისხლიანებული ჰქონდა, მაგრამ  
ტკივილს არა გრძნობდა, არტოც უკან მოსდევდა, არა შორ-  
დებოდა, ასე მირბოდა სერგო ამ ვიწრო დერეფანში რომელიც  
ერთ-მხრივ ხეები ერთკუ და შეორე მხრივ მაღალი ქვის ღობე-  
მეფხოვეს ფეხის ხმა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ მოასმოდა.

ბოლოს სერგოს ღონემ ისე უღალატა რომ განძრევის არა-  
ქათი აღარა ჰქონდა. ხის ძარში ჩამოჯდა და დაღალულმა თვა-  
ლები დახუჭა. მტრის ფეხის ხმა კი თან და თან ახლოვდებოდა.  
არტომ სერგოს მუხლებზე თავი დაუდო და ისე ღმუოდა.

რამდენიმე ნაბიჯზე სერგოს ხის ტოტების შრიალი მო-  
ესმა. იმან მალლა აიხედა და დაინახა რომ იმას პირდაპირ სა-  
ცა ის იჯდა ღობე ერთობ დაბალი იყო, არშინ ნახევარზე  
მეტი სიმაღლე არ ექნებოდა, თუმცა ზემოთ ბოთლის ნამტვრე-  
ები იყო დაცმული. სერგო საჩქაროთ წამოხტა, არტო ღობეე-  
ზე შესვა, ქკვიანმა ფინიამ იგრძნო რაში იყო საქმე და უც-  
ბათ აცოცდა. სერგოც ახტა ღობეზე. სწორედ ამ დროს ხის  
ტოტები გაიხსნა და უზარ-მაზარი მეფხოვეს სახე გამოჩნდა



ორი მარჯვე სულდგმული ძაღლი და ბავშვი უცბად გზაზე გაჩნდნენ. უკანიდან საშინელი ლანძღვა და კრულვა მოესმით.

მეგზოვე ალბათ იმათზე ნაკლებათ მარჯვე თუ იყო, ან იქნება ბაღში ტრიალმა დაღალა და იმედი გადაუწყდა რომ ამ ორ ბატარა თავგანწირულს მოეწიოს აღარ გამოეკიდა უკან. ბავშვი და არცო მინც კიდევ დიდხანს მირბოდნენ, სანამ თავიანთ წყარომდინ არ მიაღწიეს, ძაღლი გახარებული სერგოს ზედ ახტებოდა და ლოკავდა.

იმ წყაროზე, სადაც წინადლით იმათ ისაუზმეს სერგომ თავი უშიშრად იგრძნო და გონზე მოვიდა. ორივე ცივ წყალს დაეწაფნენ და პირი ველარ მოეშორებინათ. როცა კარგათ გაძლნენ წყლით და დაიმედოვდნენ რომ შიში არსაიღამ არ მოელისთ დამშვიდებული შარა გზას შეუდგნენ. მთვარის შუქი უნათებდა და ისინი განთიადის მშვენიერის ბუნებით სტკებოდნენ.

ბოლოს ყავახანას მიაღწიეს. იბრაგიმმა თავის უცნაური კილოთი საყვედური უთხრა სერგოს.

ბავშვს მოხუცის გამოღვიძება არ უნდოდა, მაგრამ არტომ ამდენ ხალხში თავისი პატრონი მოსძებნა, წკმულით მიაფრინდა და ტუჩების, ლოკების და თვალების ლოკვა დაუწყა. მოხუცმა თვალი გაახილა, ნახა რომ ფინიას ყელზე თოკი აბია და იმის გვერდით მტვერში ამოთხუპნული ბავშვი წევს, ყველაფერს მიხვდა. უნდოდა სერგოსთვის გამოეკითხა, მაგრამ ბავშვს ისე მაგრა ეძინა, რომ ვერაფერი გააგებინა.


(დასასრული)

ეკ. მესხი.





## ბუნების სიმდიდრის განადგურება.



ველგან, თითქმის მთელ დედამიწაზე, ადამიანი შეუბრალებლათ ანადგურებს ბუნებას; საცა კი ხელი გასწვდება ცარცვამს, გლეჯავს და ნაცარტუტას ადენს ბუნების სიმდიდრეს.

შეგნებული და განათლებული ხალხი უფრო მეტი გამანადგურებელია ბუნებისა.

მართალია ველური ხალხი, რომელიც შეუგნებელია, სულაც არ ფიქრობს შემდეგი ჩამომავლობისათვის, არ დასდევს არაფერს, არ ზრუნავს მეორე დღისთვის, მაგრამ მათი მოთხოვნილება ცხომ უბრალოა, მათი გასაქირი არ არი რთული. საზოგადოთ ველურები ჰკლამენ პირუტყვებს ან იმიტომ რომ გაიძღონ კუჭი, ან მისი ტყავიდან შეიკერონ ტანისამოსი. ტყესაც იმიტომ სჭრიან, რომ ან სახლი აიშენონ ან სათევზაოთ ნავი გაიკეთონ.

ამ დანაკლისს ველურების ხელით განადგურებულს ბუნება მალე შეავსებს ხოლმე.

მაგრამ განათლებულ ადამიანს რომ ზიანი მოაქვს — საშინელებაა. იგი შეიარაღებული ცოდნით ბუნების სიმდიდრეს სასტიკათ ეკიდება. წაქეზებულნი სიმდიდრის შეძენის სურვილით ისინი მომართულნი არიან ყოველი ახალი დროის ტექნიკური და მეხანკური იარაღებით და ამას შედეგათ მოჰყვება ხოლმე ბუნების სრული განადგურება: ტყეებს სჭრიან და სწვამენ, მინდორ-ველებს ნოყიერებას აკლიან და ღალავენ, — შემდეგისთვის უვარგისათა ხდიან. აუარება ფრინველს უმოწყალოთ სწყევტენ, ზოგჯერ ხოლო იმიტომ, რომ მათი ფრთებით შეამკონ ქალების შლაპები. ჰკლამენ პირუტყვებს: მაგა-



ლითათ სპილოებს, რომ ხელში ჩაიგდონ სადაფები და მერე კაი ფასათ გაყიდონ. მდინარეებში და ტბებში არ აყენებენ თევზებს და იშვიათ და ძვირფასს მცენარეებს ხეირს არ აყრიან. ფიქრში არც კი იტარებენ გალატაკებას მომავალში. მათ უნდათ ხოლოთ, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა გამოიწვიონ ბუნებიდან.

ადამიანის სიხარბემ, გაუმაძღრობამ იქამდის მიაღწია, რომ ბუნება გაღარიბდა, სიმდიდრე გაჰქრა, მაგრამ ხალხს თითქოს აღარა ენაღვლებარა და გაიძახის: „ჩვენ ხომ ჯერა გვაქვს და მერე თუნდა ქვა ქვაზედაც ნულარ იქნება“.

ამერიკაში, მეტადრე შეერთებულ შტატებში, ბუნების განადგურების გზას უფრო მეტი ხალხიც ადგია, ვიდრე სხვა განათლებულ ქვეყნებში.

ბევრნი შეძლებული ამერიკელები, რომელნიც მისდევენ მიწის მუშაობას, ზოგჯერ გადასწვამენ დიდ ტყეებს, რომ ზედ დათესონ ხოლო ის ნაყოფი, რომელიც მათ დროებით მაინც მეტს სარგებლობას მოუტანს. მუდმივი შემუშავებით ისე მოლალიამენ ხოლმე მიწას, რომ მერე კარგა ხანს გროშათ აღარა ღირს ეს მიწები.

აუარება დიდი ტყეებია ამერიკაში, მაგრამ ახლა დაეტყუა შემცირება, თანდათან ტყეს აკლდება. თუ მალე არ უბატრონეს, შესაძლოა ერთი ოკეანიდან მეორემდის ტყის ხსენება აღარ იყოს.

რა დამართეს მაგ განათლებულ კაცებმა საბრალო გარეულ კამბეჩებს, რომელნიც დიდი ხანი არ არი, აუარება გროვათ დაიარებოდენ ამერიკის გაუვალ ტყეებში?

ეს უბედური პირუტყვები ორიოდ წლის განმავლობაში ბარბაროსულათ გასწყვიტეს.

ამ ორმოცი წლის წინეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა რამდენიმე საზოგადოება. იმათ გამოიღეს სავარაუდოთ დიდი ფული, რომ რაც შეიძლება ბლომათ იშოვონ გარეული კამბეჩების რქები და ტყავი.

დაიწყეს მათზე ნადირობა კი არა, პირდაპირ შეუბრალებლათ გაწყვეტა: უბედურ პირუტყვებს სათითაოდ კი არა



ჰელამდენ თოფებით—მთელ გროვას ერთად ააფეთქებდნენ, ზარბაზნებს ესროდნენ. დახოცილებს ტყავსა და რქებს მაშინვე აძრობდნენ, ლეშს იქვე სტოვებდნენ და ეს გახრწნილი ლეშის სუნი დიდ მანძილზე სწამლავდა ჰაერს.

რა სისწრაფით მუშაობდნენ ეს ბარბაროსები იმითი ჩანს, რომ ორი წლის განმავლობაში ხუთ მილიონზე მეტი გარეული კამბეჩი გაწყვიტეს.

როგორც ამერიკაში, ისეც ყველგან მრეწველნი, დიდი ფულის პატრონნი ცდილობენ ყოველთვის დიდი მოგება ნახონ, ამიტომ ანადგურებენ არათუ ბუნებას, ისინი არა ზოგავენ ბუნების სასწაულსაც, რომელიმე შესანიშნავ და იშვიათ ადგილებს, ოღონდ შეიძინონ მილიონები.

ნიაგარის ჩანჩქარი, რომელიც თავისი სიდიდით და სილამაზით ყოველ წლივ, ყოველ მხრიდან იზიდავს ბუნებოს მოყვარულებს ისიც კი არ აშორდა ხარბ, გაუმადლარ მრეწველებს და ჩანჩქრის სათავეში, რამდენსამე ადგოლას წყლები გადაადდეს, რომ ძირს გაეკეთებინათ სამუშაო ქები. თუ სასტიკ ზომებს ახლავე არ მიიღებენ, ოცი წლის განმავლობაში ამ შესანიშნავ ჩანჩქრის მაგივრათ დავერჩება მხოლოთ სასიამოვნო მოგონება, წყალს მთლათ გადაადდებენ ქარხნებში სახმარებლათ და საცა ახლა ქუხს და გადმოჩქებს სასიამოვნოთ ჩანჩქარი, დარჩება მხოლოთ უფერული, ტიტველი ქვიანი, მშრალი ნაპრალი.

ამიტომაც ამერიკელები აიტანა შიშის ზარმა. ვაი თუ ჩვენი ძვირფასი ჩანჩქარი სულ გაგვინადგურონო და ამ ქამათ კანადა და მთლათ მთელი შეერთებული შტატები, რომელთაც ეკუთვნით მდინარის მარცხენა მხარე, ცდილობენ არ მიუშვან ახლოს მსუნაგი მრეწველები და გადაარჩინონ განადგურებას ნიაგარის ჩანჩქარი.

ამერიკელებმა სხვა სიმდიდრეებსაც დაუწყეს ყურის გდება, ყველას აფრთხილებენ, ხელს არ ახლევინებენ.

ის ადგილები, რომელნიც გამოჩენილნი არიან თავიანთ ბუნებრივი სიმშვენიერით, იშვიათი მცენარეულობით, ახლა ჩაითვლება სახელმწიფოს სრულ კუთვნილებათ.



ამისთანა ადგილებს სახელათა ჰქვიან: ეროვნული ტყე-ბაღნარები.

ყველაზე დიდი ყველაზე გათქმული ეროვნული ტყე-ბაღნარი მდებარეობს კლდიან მთების მწვერვალოზე. ჩრდილო-დასავლეთ შტატში და არის იოპამინგი.

მისი სივრცე შვიდი ათასი ოთხკუთხი ვერსი იქნება და წარმოადგენს ნაწილ საოცნებო, სამოთხებურ მხარეს. ვისთვისაც კი საყურადღებოა ბუნება — ყველა იქ იპოვის შესასწავლოთ მრავალნაირ ბუნების სიმდიდრეს. ერთ მხარეს ნახავთ თოვლიან მთების მწვერვალოს, საოცარი ციცაბებით, მიუდგომელი კლდეებით, მოჩუხჩუხე ყინულიანი მთის წყაროებით და ჩანჩქრებით. საკვირველი ნაპრალებია თვალმომტაც ველ-ლელებით. აქვე ნახავთ უშველებელ ტბებს ანკარა მოლურჯო წყლით და ყოველგვარი თევზებით, სხვა და სხვა მადნის წყლებს და აუზებს ცხელი ტალახით სავსეს, ღვიმეებს, გამოქვაბულებს, ღვიმეებში სტალაკტიტების სვეტებს, გამქრალ გვირაბების ვულკანებს, საიდამაც ამოდის გოგირდის და სხვა გაზები. იქვე შეგიძლიანთ ნახოთ ყოველგვარი მიწის სიმდიდრე მადნები, ძვირფასი ქვები: ამეტიზი, მალახიტი, იაგუნდი, ლალი, ზურმუხტი და სხვა.

აქ ხელშეუხებელია ყოველგვარი ტყეები, რომელშიაც ცხოვრობენ იშვიათი მხეცები და ფრინველები.

ეს საოცარი მდიდარი ბუნება აღმოაჩინა და ასწერა გამოჩენილმა მსწავლულმა გაიდენმა. მასვე მოუვიდა აზრათ ეს ადგილი ხელშეუხებელი გაეხადა და შეერთებულ შტატების მფარველობის ქვეშ მოექცია.

სხვა ადგილებშიაც, ამერიკაში, არის ამგვარი ეროვნული ტყე-ბაღნარები, ხოლო ასეთი დიდი არ არის, მაგრამ ისიც სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ არის.

ხოლო ამგვარი საშუალებით ამერიკელებს იმედი აქვთ, შეირჩინონ ის იშვიათი მცენარეულობა და ცხოველები, რომელიც ჯერ კიდევ მოიპოვება მათ ქვეყანაში.

(თარგმანი)

ან. წერეთლისა.



საქართველოს  
დემოკრატიული  
პარტია

1909 წლის აგვისტოდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# მომავალი

იმვე პროგრამით, როგორც გამოდიოდა.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები ევროპაში,  
სპარსეთში და სახელმწიფო დეპარტამენტიში.

გაზეთის ფასი:

1 წლით. 6 თვით. 3. თვით. 1. თვით.

თფილისში . . . 7 მან. 4 მან. 2 მ. 20 კ. 80 კაპ.

ქალაქ გარეთ. . . 7 მან. 4 მან. 2 მ. 50 კ. 90 კაპ.

საზღვარ გარეთ. 10 მან. 5 მან. 3 მან. 1 მან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ცალკე ნომერი ყვლგან 5 კაპ.

ხელისმოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, „წერა კითხვის საზოგადოების“ მალაზიაში—შ. ქუჩისკაშილითან, ნაძალადევის, ავჭალის, ვერის და ავლაბრის ბიბლიოთეკებში.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ელისაბედის ქ., სახლი № 1.

Открыта подписка на 1909 годъ на газету

## „ЗАКАВКАЗЬЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:		Съ пересылкой въ другіе города:
за годъ . . . . . 6 р. — к.		за годъ . . . . . 8 р. — к.
за полгода . . . . . 3 р. 50 к.		за полгода . . . . . 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльные №—5 коп. Загра, ницу вдвое. За перемѣну адреса городского на иногородній—1 р., сь иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова, общій входъ сь конторой нотариуса Мгеброва. Редакція открыта отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера.

Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. I. Амираджиби.

0 421/1



მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

# დ რ ე ე ბ ა

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ყოველ დღიურ გამოცემის კარდა 1909 წელს გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით--5 მან. 10 კაპ.; ერთი თვით—1 მან.

ცალკე ჩამერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

### პ ა ლ ე ნ დ ა რ ი 1909 წ ლ ი ს ა

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან—სას ხლის ქუჩა, თავდაზნ. ქარვასლა; ნაძალადეგში მეპურე მელიტონ ღორბერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩზე, გრიბოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სხელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

### ხელის მოწერათა საუზრადღებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიცობა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამატარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакция „Дროება“ И. С. АГЛАДЗЕ.